www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 18 ივლისი, 2012 წელი. | №3068 (160) | ფასი 50 თეთრი

ქართული იუსტიციის სახლი

დიდი ბრიტანეთისთვისაც კრეატიული და შთამბეჭდავი წინსვლაა

მარი ახსიაშვილი

დიდი ბრიტანეთის ლორდთა პალატაში საქართველოს იუსტიციის სახლებში დანერგილი სერვისი განიხილეს. სწრაფი მომსახურების სერვისებზე საუბრისას ლორდთა პალატის იმ წევრებმა, რომლებიც ცოტა ხნის წინათ საქართველოს სტუმრობდნენ, ბრიტანეთის მთავრობას რეკომენდაცია მისცეს. მათი რჩევაა, მოქალაქეების სწრაფი და ეფექტური მომსახურების კუთხით საქართველოს მაგალითი დიდ ბრიტანეთშიც გადაიტანონ. ლორდთა პალატაში ამერიკის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის სიტყვებიც გაიხსენეს, როდესაც კლინტონმა საქართველოს იუსტიციის სახლები კრეატიულ, შთამბეჭდავ წინსვლად და თანამედროვე ტექნოლოგიურ სასწაულად შეაფასა. ლორდთა პალატის წევრებმა თქვეს, რომ ქართული იუსტიციის სახლების ფოტოებიდანაც ჩანს, როგორი არაჩვეულებრივი შენობებია. მათვე შენიშნეს, რომ საქართველოს იუსტიციის სახლი ახალ ტექნოლოგიებზეა დაფუძნებული, რის შექმნასაც თავადაც ცდილობენ.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

დაკავება თვალთმაქცური გარიგების გამო

სამართალდამცველებმა ქართული ოცნების მორიგი თვალთმაქცური გარიგების დადება გაშიფრეს და კოალიციის სამი წარმომადგენელიც დააკავეს. კონსერვატიული პარტიის აღმასრულებელ მდივანს მერაბ კაჭახიძეს, "ეროვნული ფორუმის" გლდანის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილეს თეიმურაზ შეყლაშვილს და ამავე პარტიის აქტივისტ ტარიელ ქარდავას ბრალი თვალთმაქცური გარიგების დადების მუხლით (სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე პრიმა მუხლი) წარედგინებათ, რაც სამ წლამდე პატიმრობას ან ჯარიმას ითვალისწინებს.

"მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ საქართველოს კანონის" შესაბამისად, პარტიის წევრს შეუძლია საწევროს სახით პარტიის სასარგებლოდ შეიტანოს წელიწადში 1200 ლარი, ხოლო მოქალაქეს შეუძლია პარტიის სასარგებლოდ წელიწადში განახორციელოს შემოწირულობა 60000 ლარის ოდენობით. ამავე კანონით იკრძალება სხვა პირის სახელით პარტიის საწევრო შენატანის ან შემოწირულების განხორციელება. არადა, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტრო ირწმუნება, კანონის სწორედ ეს მოთხოვნა დაარღვიეს კოალიცია "ქართული ოცნების" წარმომადგენლებმა.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

შატილის რეაბილიტაცია იწყება

ბელა ჩეკურიშვილი

რამდენიმე დღის წინანდელმა ძლიერმა წვიმებმა ხევსურეთის სოფელ შატილში სამხრეთი ფასადის ერთ-ერთი შენობის კედელი დააზიანა - მხილველთა თქმით, რვასაუკუნოვანი კედელი ჭურვნასროლივით გამოიყურება. შატილიდან დაბრუნებულმა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფმა კი შემდეგი ამბავი ჩამოიტანა: ჩამოშლილია 44-ე ნომრად სახელდებული სამმეტრიანი კედელი, რომელსაც აქვს აივანი და არსებობს საშიშროება, კედელს აივანიც გადმოჰყვეს.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ძიუდოისტები ლონდონში ბორჯომის ჰაერით გაჟღენთილები ჩავლენ

გიგა გურასაშვილი

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ქვეყნის რჩეული ძიუდოისტებით ჩავა. თანაც, სრული გუნდით - შვიდივე ნონით კატეგორიაში. ნაკრების მთავარი გუნდის მწვრთნელმა პეტერ ზაიზენბახერმა ყველაფერი ცივი გონებით აწონ-დაწონა, ბირთვი შეკრა და დასკვნით შეკრებაზე ლიკანის სუფთა ჰაერზე წაიყვანა, რამდენიმე დღეში კი ლონდონის გზას გაუყენებს.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

გიორგი ბუსალიძის ფოტო

ზაიზენბახერი ნაკრების ფიზმომზადებით კმაყოფილია

1 აშშ დოლარი	1.6511₾
1 ევრო	2.0153₾
1 ინგლისური გირვანქა	2.5511₾
1 თურქული ლირა	0.9091₾
100 რუსული რუბლი	5.0556₾

თბილისი	33°C - 22°C
ქუთაისი	35°C - 21°C
თელავი	33°C - 22°C
ზუგდიდი	33°C - 21°C
ბათუმი	29°C - 21°C

ნავთობი	2.81	+0.03	+0.90%
გაზი	2.80	-0.08	-2.72%
ოქრო	1,589.30	-2.70	-0.17%
ხორბალი	879.00	+31.25	+3.56%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4 საქართველოს სოფლისმოყვარეთა მაუწყებელი
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121

ზესტაფონური ფეშქაშები

ჩემპიონთა ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი.

"ნეფთჩი" (ბაქო) - "ზესტაფონი" (ზესტაფონი) 3:0

გოლები: 1:0 იმამვერდიევი (22), 2:0 ვობეი (24), 3:0 კანალესი (63)

დიდგულზე იყვნენ "ნეფთჩის" მწვრთნელ-ფეხბურთელები, გულშემატკივრები და იქაური ჟურნალისტები მატჩის წინ - პირველივე დაპირისპირებაში უნდა გადავწყვიტოთ შემდეგ ეტაპზე გასვლის საქმე, საქართველოს ჩემპიონი "ზესტაფონი" იოლად დასაძლევი ბარიერიაო.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

იმამვერდიევის პირველი გოლი ზესტაფონელთა კარში

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის" და „Weekend"-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" წიგნებზე „საქართველოს ფოსტის" პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინბაზობს	~~5.90~~	4.90
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	~~9.00~~	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	~~6.90~~	3.00
ქართველები ამერიკაში	~~17.90~~	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	~~15.90~~	11.00

გიორგი ფოჩხუას მკვლელობა გახსნილია

მსახიობ გიორგი ფოჩხუას მკვლელობა გახსნილია. მკვლელობაში ბრალდებული ბექა ცობეხია გალის რაიონის სოფელ ბარღებიდან დედამ რიმა ცხაკაიამ გადმოიყვანა და სამართალდამცველებს ჩააბარა.

"შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, დააკავეს გიორგი ფოჩხუას განზრახ მკვლელობაში ბრალდებული, 1992 წ.დ ბექა ცობეხია, რომელსაც ბრალი ედება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, რომლის მოტივადაც სახელდება ურთიერთშელაპარაკება. ასევე დაკავებულია, ბრალდებულის მეგობარი, დაცვის პოლიციის თანამშრომელი, 1990 წ.დ ნიკოლოზ ბაძაღუა, რომელიც ბრალდებულია საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება). პოლიციის მიერ ამოღებულია გარდაცვლილის ფოტოაპარატი და მობილური ტელეფონი," - ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

რეგიონული მედიასაშუალების ცნობით, ბექა ცობეხიას გალის რაიონში გადასვლაში ბიძა, დიმა ცხაკაია დაეხმარა, რომელიც აფხაზ კრიმინალებთან და ე.წ მილიციასთან დაახლოებული პირია. დიმა ცხაკაია ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჯგერდაში ცხოვრობს.

"სმო. გე"-ს ინფორმაციით, ბექა ცობეხია თავდაპირველად სწორედ ცხაკაიამ შეიფარა.

მოკლულის დის, ელენე ფოჩხუას ინფორმაციით, მისი ძმის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ბექა ცობეხია ზუგდიდის კაფე-რესტორან "როიალ პალასის" დაცვის თანამშრომელია. ის გიორგი ფოჩხუას გაუჩინარების დღეს ანაკლიაში იმყოფებოდა.

"როგორც მითხრეს, ბექა ცობეხიას ანაკლიაში ფული არ ჰქონდა. მან ჩემი ძმა დაინახა, რომ სასტუმრო "ოქროს საწმისის" კაფეში ერთობოდა და თან ჰქონდა ძვირადღირებული ფოტოკამერა და ჯვრისწერის ბეჭედი. ცობეხია ჩემს ძმას გამოეცნაურა და გვერდით გაიხმო. როგორც ვხვდები, ფული მოსთხოვა, გიორგი მას გაუძალიანდა. შემდეგ კი მოხდა ის ტრაგედია, რამაც გიორგის სიცოცხლე შეიწირა. ის ზღვაში გაძარცული და მოკლული გადააგდეს," - განაცხადა ელენე ფოჩხუამ.

მარკ ჰერტლინგი: "საქართველოს თავდაცვის სისტემაში შთამბეჭდავი ცვლილებები ხორციელდება"

საქართველოს თავდაცვის მინისტრი დიმიტრი შაშკინი ევროპაში აშშ-ს არმიის მეთაურს, გენერალ-ლეიტენანტ მარკ ჰერტლინგს შეხვდა. თავდაცვის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა აშშ-სა და საქართველოს შორის ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. ყურადღება გამახვილდა სამხედრო განათლებაზე, წვრთნებსა და სამხედრო დოქტრინების განვითარებაზე. ამერიკელ გენერალ-ლეიტენანტთან შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო ქართველი სამხედროების ISAF-ის მისიაში მონაწილეობას.

შეხვედრის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მარკ ჰერტლინგმა ქართულ მხარეს სამშვიდობო მისიაში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა. აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის სისტემაში შთამბეჭდავი ცვლილებები ხორციელდება, რაც მისასალმებელია.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა პრესკონფერენციაზე ამერიკული მხარის მიერ გაწეული დახმარების მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველო, პარტნიორებთან ერთად, შეიარაღებული ძალების განვითარებაზე მუშაობას განაგრძობს და ამ ეტაპზე მთავარი პრიორიტეტია, დაჩქარდეს იმ პუნქტების შესრულება, რომლებიც ნატო-ს სტანდარტების დაკმაყოფილებისთვის არის საჭირო.

სააქციო საზოგადოებების საყურადღებოდ!

ლიცენზირებული რეგისტრატორი

სს „კავკასრეესტრი"

გთავაზობთ ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების მაღალკვალიფიციურ მომსახურებას.

მომსახურების საფასური 17 ლარიდან.

თბილისი, მოსაშვილის ქ. №11 (ვაკის პარკთან) მე-2 სართ.
ტელ : 222-07-18; 222-07-49; ფაქსი: 225-18-76
ვებ-საიტი: www.kavkasreestri.ge ელ.ფოსტა: kavkasreestri@gse.ge

"ეუთო-ში "კონსენსუსს მინუს ერთი" პრინციპის შემოღებაზე მუშაობენ"

დათო გამისონია

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეამ მონაკოში საქართველოს შესახებ რეზოლუცია მიიღო. ეს დოკუმენტი ამ ფორუმის ფარგლებში პირველია, რომელშიც აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ოკუპირებულ ტერიტორიებად არის აღნიშნული. ამასთან, ზაფხულის სესიაზე ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტად საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი აირჩიეს. მას 24 საათი" ასამბლეის ზაფხულის სესიის პერიპეტიების შესახებ ესაუბრა.

- ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ზაფხულის სესია საქართველოს დელეგაციისთვის ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი, ისტორიულიც კი იყო. პოლონელ მეგობრებთან ერთად მისი რეზოლუციის პროექტის თანაინიციატორები ჩვენც ვიყავით. წინასწარ სამუშაოები, რა თქმა უნდა, გავწიეთ.

- ბატონო გიგი, აქამდე ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე ვერ ხერხდებოდა იმ ტიპის რეზოლუციის გატანა, რომელშიც ტერმინი „ოკუპაცია" იქნებოდა აღნიშნული. მიიჩნეოდა, რომ რუსეთს ამ ფორუმზე დიდი გავლენა ჰქონდა.

- ორი წლის წინათ ვილნიუსში რეზოლუცია მივიღეთ. ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ყოფილი პრეზიდენტის, შვედი დეპუტატის მიერ მომზადებული დოკუმენტის თანაავტორი საქართველოს დელეგაცია იყო. ის რეზოლუცია კონკრეტულად დევნილების დაბრუნების საკითხს ეხებოდა. თუმცა, საპარლამენტო ასამბლეამ ტერმინ «ოკუპაციას" და უფრო მკაცრ გაფრთხილებებს გვერდი აუარა. ასეთი ტიპის რეზოლუციებში, რომლებიც, რამდენიმე საპარლამენტო ასამბლეასთან ერთად, ევროპარლამენტმაც მიიღო, მთავარია ის, რომ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის შესახებ ჩაიწეროს. ეს სოლიდურ იურიდიულ საფუძველს გვაძლევს, რათა დეოკუპაციისთვის ბრძოლა აქტიურად ვაწარმოოთ. რუსეთსაც არ რჩება იმის არგუმენტი, თითქოს მშვიდობისმყოფელია.

- რამ განაპირობა ბოლო ორი წლის მანძილზე საპარლამენტო ასამბლეაში შემავალი დელეგაციების დამოკიდებულების ცვლილება?

- ვერ გეტყვით. ასეთი ტიპის ასამბლეაში დელეგაციების მუშაობას, აქტიურობას და ავტორიტეტს დიდი მნიშვნელობა აქვს. შემიძლია ვთქვა, რომ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაში არ არის სხდომა, სადაც ჩვენ სხვადასხვა თემებზე საგნობრივად არ გამოვდივართ. ბოლო 4 წლის განმავლობაში, რაც საპარლამენტო ასამბლეაზე განახლებული ძალითა და შემადგენლობით ვართ წარმოდგენილნი, ჩვენი დელეგაციის წევრების, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების აქტიურობამ დელეგაციას და საქართველოს სათანადო ადგილი მოუპოვა.

ამასთან, საქართველო დღეს რეფორმების, კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით საინტერესო ქვეყანაა. ბოლო წლების განმავლობაში პოსტსაბჭოთა სივრციდან ყველაზე მნიშვნელოვან პროგრესს აჩვენებს. აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი მაგალითია, სადაც დემოკრატიული გარდაქმნები ხდება. რა თქმა უნდა, შენიშვნებსაც ვიღებთ და ხარვეზებიც გვაქვს. გარდა ამისა, მაისში ბათუმში ეუთო-ს ეკონომიკური ფორუმი გაიმართა. ერთი ღონისძიების ფარგლებში ამდენი პოლიტიკური ფიგურა საქართველოში აქამდე არ ჩამოსულა. თუმცა, სხვა ასამბლეებისა და ევროპარლამენტის მხარდაჭერა რომ არ ყოფილიყო, შესაძლოა, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეასაც ასეთი პოზიცია არ გამოეხატა. იყო პერიოდი, როცა ასამბლეა რუსეთის გავლენას განიცდიდა და რუსეთის გარეშე გადაწყვეტილებები არ მიიღებოდა.

ეუთო-ს აღმასრულებელ სტრუქტურას ერთი მძიმე წესი აქვს: გადაწყვეტილების მიღება კონსენსუსს ეფუძნება.

- საპარლამენტო ასამბლეაში კი გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია დეპუტატების უმრავლესობის მხარდაჭერა.

- დიახ. თუმცა, საპარლამენტი ასამბლეამ წელსაც და მანამდეც მიიღო რეზოლუცია (რომლის აქტიური მხარდამჭერები ვიყავით), რომელიც ეუთო-ს აღმასრულებელი სტრუქტურისთვის «კონსენსუსს მინუს ერთის» პრინციპის შემოღებას ითვალისწინებს. ეს ეუთო-ში რამდენჯერმე გამოიყენეს და გულისხმობს იმას, რომ ერთი ქვეყნის გამო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების (მაგალითად, მისიის აღდგენის შესახებ) დაბლოკვა არ უნდა ხდებოდეს. არის შანსი, ეს პრინციპი უფრო ხშირად გამოიყენებოდეს. თუმცა, მეორე მხარე ამის საწინააღმდეგოდ აქტიურად მუშაობს.

- ზაფხულის სესიაზე საპარლამენტო ასამბლეამ რეზოლუცია მაგნიტსკის საქმის" შესახებაც მიიღო.

- «მაგნიტსკის საქმე" უმძიმესი მაგალითია იმ არაჰუმანური მოპყრობის, ადამიანის უფლებების დარღვევის, კორუფციული და, ზოგადად, ავტორიტარული სისტემისა, რომელიც რუსეთშია. ციხეში არა მხოლოდ ადვოკატი მაგნიტსკი მოკლეს, არამედ დაღუპულია მოწმეების მთელი ჯგუფი. ზოგი მათგანი სასამართლო მოსმენამდე, დაკითხვამდე 2-3 დღით ადრე, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა.

რეზოლუციის ძირითადი ამოცანაა, ქვეყნებმა ზომები მიიღონ ამ პროცესში მონაწილეთა მიმართ. ისინი, ძირითადად, რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსნები არიან. რეზოლუციაში მათთვის ვიზების არდაშვების და ფინანსური აქტივების გაყინვის შესახებ არის ნათქვამი.

მინდა, განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ საქართველოს დელეგაციის წევრებს - გიორგი კანდელაკს და აკო მინაშვილს «მაგნიტსკის საკითხზე" არაჩვეულებრივი გამოსვლები ჰქონდათ.

რეზოლუცია სარეკომენდაციო ხასიათისაა და პოლიტიკური და საზოგადოებრივი დატვირთვა აქვს. ამასთან, საპარლამენტო დელეგაციების წარმომადგენლები თავიანთ ქვეყნებში ამ საკითხის წამოწევას ცდილობენ. ეს სხვა ქვეყანაში რომ ჩაედინათ, ჩვენ მაინც მხარს დავუჭერდით. თუმცა, საქართველოს მხრიდან რუსეთის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება ხშირად ცუდად აღიქმება. საქართველოს პარლამენტში «მაგნიტსკის საქმეზე" მოსმენა გვქონდა. დარწმუნებული ვარ, ახალი მოწვევის პარლამენტში, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციების მიხედვით, ამ საკითხს განვიხილავთ.

- დავუბრუნდეთ საქართველოს შესახებ მიღებულ რეზოლუციას. რამდენად სერიოზული დაბრკოლებები შექმნეს რუსეთის დელეგაციის წევრებმა საპარლამენტო ასამბლეაზე რეზოლუციის მიღებამდე?

- რუსეთმა დელეგაციის შემადგენლობა განაახლა. რჩება შთაბეჭდილება, რომ იგი ძირითადად ძალოვანი სტრუქტურების ყოფილი თანამშრომლებით არის დაკომპლექტებული. რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელის ბიოგრაფია კონკრეტულად ვიცით: ასამბლეაში ხუმრობდნენ, რომ არ არის გრაფა, სადაც «კაგებე" არ იყოს მითითებული. შეიძლება, პიროვნულად კარგი ადამიანია, მაგრამ რთული ბიოგრაფია აქვს. მან თავის დროზე «ეფესბე"-ში პუტინი შეცვალა. ასე რომ, რუსეთის დელეგაციაში ბრძოლის ყველანაირი მეთოდი იციან. ასამბლეაში რუსეთის დელეგაციის ერთ-ერთ წევრზე ხუმრობდნენ: «რადიაქტიულ ჩაის ხომ არ დაგვალევინებსო." ის პიროვნება ლიტვინენკოს საქმესთან იყო დაკავშირებული.

რუსეთის დელეგაციის წევრებს ამ რეზოლუციის წინააღმდეგ აქტიური გამოსვლები ჰქონდათ. თუმცა, მათ პრაქტიკულად მხარდაჭერა ვერ მიიღეს. როცა საქართველოში დავბრუნდი, მითხრეს, თითქოს რუსეთმა კენჭისყრის დროს თავი შეიკავა. ასეთი რამ არ მახსოვს. რეზოლუციის დამტკიცების შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განცხადებაც კი გამოაქვეყნა და რეზოლუციის შესახებ უარყოფითი პოზიცია გამოთქვა. მასში აღნიშნულია, რომ რუსეთის დელეგაციამ ამ რეზოლუციის წინააღმდეგ იბრძოლა.

ასამბლეაში რეზოლუციების მიღებისას ყველაზე მთავარი განხილვის ფორმატი კომიტეტებია (ძირითადად, პოლიტიკური, ეკონომიკური, ადამიანის უფლებათა და დემოკრატიის კომიტეტები). მთელი დებატები იქ მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, არის პერსპექტივა, რომ კომიტეტისგან მხარდაჭერილ საკითხს ასამბლეამ მხარი არ დაუჭიროს, მაგრამ, ძირითადად, თუ საკითხმა კომიტეტისგან თანხმობა მიიღო, ასამბლეა მხარს უჭერს. ყველა დელეგაციის წევრების მადლობლები ვართ, რომლებმაც მხარი დაგვიჭირეს. განსაკუთრებით - პოლონელი მეგობრების, რომლებიც ძირითადი ინიციატორები იყვნენ და მათ მოქმედებას გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი ჰქონდა. ჩვენ თანაინიციატორები ვიყავით.

რამდენიმე ალტერნატივამ, რომლებიც ტერმინ «ოკუპაციის" ამოღებას და სხვადასხვა საკითხების შესუსტებას გულისხმობდა, მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. ისინი საკომიტეტო მოსმენამდეც ვერ მივიდა. თუმცა, ერთ-ერთ შესწორებას (რომელიც საარჩევნო პროცესს ეხება და მიუთითებს, რომ არჩევნები თანაბარ პირობებში უნდა ჩატარდეს) საქართველოს დელეგაციამ მხარი დაუჭირა.

ჩვენი მთავარი ამოცანა არჩევნების ყველაზე მაღალი სტანდარტით ჩატარებაა. საქართველოში ჩატარებული არჩევნების მიმართ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამკვიდრდეს ტერმინი - «თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები." საქართველოს მიმართ აღარ იყოს ჩანაწერები, რომ ეს სტანდარტებთან ახლოს იყო და სხვ. გვჭირდება ბევრი დამკვირვებლის ჩამოსვლა, რომლებიც პროცესს დააკვირდებიან და ობიექტურად შეაფასებენ.

სესია საქართველოს საპარლამენტო არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე იმართებოდა, ამიტომ ჩვენი სამუშაოს ერთ-ერთი მიმართულება ხელმძღვანელობასთან და დელეგაციის წევრებთან შეხვედრები იყო. საარჩევნო მისიების საკითხზე ყველასთან შევთანხმდით.

- თქვენ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტად აგირჩიეს. რუსეთის დელეგაციის წარმომადგენელმა, რომელიც ერთ-ერთი კონკურენტი იყო, საკმარისი მხარდაჭერა ვერ მოიპოვა...

- ეუთო-ში საპარლამენტო ასამბლეის არჩევა ყოველთვის დაძაბული პროცესია. ზოგიერთ სხვა საპარლამენტო ასამბლეაში არჩევა როტაციის პრინციპით ხდება. მაგალითად, ევროსაბჭოში ყველა ქვეყანას ეს როდესმე ერგება. ეუთო-ში კი ასეთ არჩევნებზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იმართება. არჩევნები ფარული კენჭისყრით ტარდება. იმ ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროები და საელჩოები, რომლებსაც კანდიდატები ჰყავთ, აქტიურად არიან ჩართულები, რადგან საპარლამენტო ასამბლეაში თანამდებობის დაკავება ქვეყნის პრესტიჟია. ეუთო ცდილობს, ქვეყნების შემადგენლობა დაბალანსებული იყოს.

ვიცი, რომ რუსეთს დიდი სურვილი ჰქონდა, ასამბლეის ბიუროში ყოფილიყო, რადგან ეუთო დიდი ქვეყნებისგან მნიშვნელოვან დაფინანსებას იღებს და ასევე რუსეთი ერთ-ერთი კონტრიბუტორიც არის. რუსეთის დელეგაციის წევრის კანდიდატურა იმ პრინციპით იყო შემოთავაზებული, რომ რუსეთის იზოლირება, ზოგიერთის აზრით, უარყოფით შედეგს იძლევა. ამიტომ, არჩევნები მარტივად არ წარმართულა.

ეუთო-ში მაღალი ცნობადობა მქონდა, თუმცა საარჩევნო კამპანია, პრაქტიკულად, რამდენიმე დღის განმავლობაში ჩავატარეთ - ბუკლეტები იბეჭდებოდა; რამდენჯერმე შევხვდი სხვადასხვა დელეგაციების წევრებს; რამდენჯერმე საჯაროდ გამოვედი სხვადასხვა თემებზე, მათ შორის, გენდერული საკითხების შესახებ სპეციალური ღონისძებაზე. ასევე, გამოსვლა მომინია «მაგნიტსკის" საქმეზე გამართულ განხილვაზე, სადაც კანდიდატები აქტიურობდნენ.

ჩემი უპირატესობა ის იყო, რომ ბოლო 2 წელია, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაში «ევროპის სახალხო პარტიის" ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე ვარ და ახლა ისევ ამირჩიეს. პრაქტიკულად, «ევროპის სახალხო პარტიის" დასახელებული კანდიდატი ვიყავი. თუმცა, თუ ინდივიდუალურად არ იმუშავებ, შედეგი არ იქნება. იქაც 3 ძირითადი ჯგუფია - «ევროპის სახალხო პარტიის", «სოციალისტების" და «ლიბერალების."

ფარულ არჩევნებში მოსალოდნელია სიურპრიზები. ვფიქრობ, ჩვენი დელეგაციისა და მხარდამჭერებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ახლად არჩეულ 5 ვიცე-პრეზიდენტს შორის ყველაზე მეტი ხმა მივიღე.

ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტობა ინსტრუმენტია, რათა გადაწყვეტილებების მიღებაში მეტად ჩავერთოთ.

- რა ვადით ირჩევენ ვიცე-პრეზიდენტს?

- სპეციფიკური საკითხია. ხმების რაოდენობის მიხედვით საუკეთესო მაჩვენებლების მქონე სამი ვიცე-პრეზიდენტი 3 წლით ირჩევა. შემდეგ ნაკლები ვადებია. მაგალითად, ბოლო ორი ვიცე-პრეზიდენტი თითო წლით არის არჩეული. ჩვენ გაგვიმართლა, ეუთო-ს ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისთვის 3-წლიანი პერიოდი გვაქვს. ეს 3 წელი საქართველოში ეუთო-ს მისიის აღსადგენად, მონიტორინგის გასაუმჯობესებლად, დეოკუპაციის შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად და ზოგადად ევროინტეგრაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პერიოდია.

სხვა ქვეყნების საკითხებშიც აქტიური მონაწილეობის მიღება მომიწევს. როგორც წესი, ვიცე-პრეზიდენტების ფუნქცია სხდომების წაყვანა, სხვადასხვა ფორუმებზე ასამბლეის წარმოდგენაა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ასამბლეის სახელით არჩევნების სადამკვირვებლო მისიების ხელმძღვანელობაა.

- მანამდე საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებაა საჭირო...

- მთავარი, რა თქმა უნდა, ასამბლეაში ყოფნა არ არის. იქ ვერ ვიქნებით, თუ საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში ვერ გაიმარჯვებთ. ამიტომ, სანამ სხვაგან დამკვირვებლებად გავემგზავრებით, საჭიროა, ჩვენს ქვეყანაში არჩევნებს არა მხოლოდ დავაკვირდეთ, არამედ საქართველოს ისტორიაში ყველაზე მაღალი ხარისხის არჩევნების ორგანიზება მოვახერხოთ.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფარჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ქართული იუსტიციის სახლი დიდი ბრიტანეთისთვისაც კრეატიული და შთამბეჭდავი წინსვლაა

პირველი გვერდიდან

ლორდ ჰარისის განცხადებით, დიდი ბრიტანეთი ყოველთვის მოხარულია, პრაქტიკა კარგი უცხოური მაგალითებით მიიღოს.

"მინდა, განსაკუთრებით აღვნიშნო საქართველოს შემთხვევა. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმაც გააკეთა საკმაოდ მნიშვნელოვანი განცხადება საქართველოს საჯარო სამსახურების შესახებ," - განაცხადა ლორდმა ჰარისმა, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სახლში ქართული პასპორტი დაუმზადეს. ლორდთა პალატის წევრებმა "ლორდ ჰარისს, ახლა უკვე ჰარიშვილს" საქართველოს მოქალაქეობა მიუღოცეს.

სალტეირელი ლორდის, უოლესის განცხადებით, საქართველოს შემთხვევა მართლაც გამორჩეულია.

"ცოტა ხნის წინ ვიყავი საქართველოში და ერთ ასეთ იუსტიციის სახლს ვესტუმრე. ჩვენმა თანხმლებმა პირმა პირადი მონაცემები გამომკითხა, 15 წუთში კი უკვე მზად იყო ქართული პასპორტების ანალოგი ჩვენს სახელზე. ეს არის მხოლოდ ერთი მაგალითი იქ არსებული სწრაფი სისტემისა და მომხმარებლისთვის კომფორტული გარემოს შექმნისა," - აღნიშნა უოლესმა. მისი რეკომენდაციით, კარგი იქნება, თუ დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა სახელმწიფო დეპარტამენტი გაითვალისწინებს ქართული იუსტიციის სახლის დიზაინს.

"რადგან, როგორი ციფრული სისტემაც არ უნდა გვქონდეს შემუშავებული, მაინც საჭიროა ოფისები, სადაც ხალხი მოვა. ასევე უნდა განვიხილოთ, შესაძლებელია თუ არა ფოსტის და იუსტიციის სახლის ერთობლივი მუშაობა," - დასძინა უოლესმა.

ქართული პასპორტი რუსთავის იუსტიციის სახლში ლორდ ჰავორთსაც დაუმზადეს. მისივე თქმით, მსგავსი ოფისი ერთ-ერთ მცირე დასახლებაშიც დაათვალიერა და იქაც ზუსტად იგივე სისტემა მოქმედებს.

"საქართველო პატარა და შორი ქვეყანაა, რომლის შესახებაც ცოტა რამ ვიცოდით, ახლა კი საკმარისი ინფორმაცია გვაქვს. ნამდვილად საინტერესოა, თუ როგორ შექმნა საქართველომ პრინციპი - "ყველაფერი ერთ სივრცეში". სახელმწიფოს და საზოგადოების ურთიერთობის ახალი ფორმა, რასაც ეს დაწესებულება განასახიერებს, ძალიან შთამბეჭდავია. როგორც ჰილარი კლინტონმა შეაფასა, ეს არის კრეატიული და შთამბეჭდავი წინსვლა, თანამედროვე ტექნოლოგიური სასწაული," - განაცხადა ლორდმა და აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ ქართულ დელეგაციას დიდ ბრიტანეთში მიიწვევენ, "რათა "გაგვიზიარონ საუკეთესო პრაქტიკა," - დასძინა ლორდმა ჰავორთსმა.

ბარონესა ჰეითერმა კი უპრიანად მიიჩნია საქართველოში დიდი ბრიტანეთის დელეგაციის გაგზავნა.

"ჩვენ ცოტა ხანში ჩავატარებთ პოლიციისა და კრიმინალური კომისრების არჩევნებს. ეს მოხდება ციფრული ტექნოლოგიებით და არა ფურცლების მეშვეობით. არსებობს უამრავი ადამიანი, რომელთაც სჭირდებათ პასპორტები, მოწმობები და საკრედიტო რჩევები. ხომ არ ჩახვიდოდით საქართველოში ან გაგზავნიდით დელეგაციას, რათა უკეთესად შეგვესწავლა, რა შეიძლება გაკეთდეს იმ ადამიანებისთვის, ვისაც პირისპირ რჩევები სჭირდება?" - იკითხა ბარონესამ.

დაკავება თვალთმაქცური გარიგების გამო

პირველი გვერდიდან

"კანონის აღნიშნული მოთხოვნის გვერდის ავლით, პოლიტიკურმა კოალიცია "ქართულმა ოცნებამ" შეიმუშავა პარტიულ ანგარიშებზე თანხის მობილიზების დანაშაულებრივი სქემა, რომლის მიხედვითაც კოალიციის ხელთ არსებული ფული, მისთვის "კანონიერი" სახის მიცემისათვის, უნდა გადანაწილებულიყო ათეულობით ფიზიკურ პირზე, რომლებიც საკუთარი სახელით პარტიისთვის შემოწირულობას განახორციელებდნენ," - აღნიშნულია შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

სამართალდამცველების განმარტებით, გამოძიებამ მოიპოვა მტკიცებულებები, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური კოალიცია "ქართული ოცნებაში" შემავალი კონსერვატიული პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა მერაბ კაჭახიძემ მთაწმინდის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს ეკა ლომაიას გადასცა 7000 ლარი, რომელიც ამ უკანასკნელმა გადაანაწილა წინასწარ მოძებნილ ექვს ფიზიკურ პირზე. წინასწარ შედგენილი სქემის შესაბამისად კი, ამ მოქალაქეებმა თანხა, ისევ კონსერვატიული პარტიის ანგარიშზე, საჩუქროს სახით გადარიცხეს.

პოლიციამ გაშიფრა ანალოგიური სქემა გლდანშიც: **"იგივე სქემა გამოიყენა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური კოალიცია "ქართული ოცნებაში" შემავალმა "ეროვნულმა ფორუმმა." კერძოდ, გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების თანახმად, "ეროვნული ფორუმის" გლდანის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილემ თეიმურაზ შეყლაშვილმა და ამავე პარტიის აქტივისტმა ტარიელ ქარდავამ ნაღდი ფულის სახით ეროვნული ფორუმის ერთ-ერთ აქტივისტს გადასცეს 1750 ლარი, რომელიც ამ უკანასკნელმა გადარიცხა "ეროვნული ფორუმის" ანგარიშზე შემოწირულობის სახით."**

მერაბ კაჭახიძის, თეიმურაზ შეყლაშვილის და ტარიელ ქარდავას დაკავებასთან დაკავშირებით გავრცელებული ოფიციალური განცხადების პარალელულად შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა დანაშაულის გრაფიკული სქემა და ვიდეო მასალა, სადაც აღბეჭდილია გარიგების პროცესი - თუ როგორ აძლევს მერაბ კაჭახიძე ეკა ლომაიას ფულს და ასწავლის პარტიის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის მექანიზმს.

"ფილიალში რომ მიხვალთ, ოპერატორს დაუფიქსირეთ, რომ ვარ კონსერვატორული პარტიის წევრები და პარტიის ანგარიშზე შემაქვს საწევრო," - ეუბნება ფარულ ვიდეოჩანაწერში მერაბ კაჭახიძე ეკა ლომაიას (ფარული ვიდეოკამერა სწორედ ლომაიას ჰქონდა დამონტაჟებული) და იქვე ასწავლის ფულის გადარიცხვის მექანიზმს: თუ ვინმეს არ აქვს ანგარიში, ჯერ უნდა გახსნას პირადი ანგარიში, შეიტანოს თანხა და შემდეგ აქედან გადარიცხოს პარტიის ანგარიშზე.

კონსერვატიული პარტიის აღმასრულებელი მდივანი პარტიის მთაწმინდის ორგანიზაციის თავმჯდომარეს იმასაც პირდება, რომ ყველა მოქალაქის გვარი, რომელიც პარტიის სახელზე თანხას გადარიცხავს, პირადად გადაეცემა ბიძინა ივანიშვილს.

სქემის მიხედვით კი, დანაშაული ასე იშიფრება - კოალიცია ქართული ოცნების შავი ფული, კერძოდ, 7 ათასი ლარი კონსერვატორული პარტიის საორგანიზაციო სამსახურის ხელმძღვანელმა მერაბ კაჭარავამ გადასცა კონსერვატორული პარტიის მთაწმინდის ორგანიზაციის თავმჯდომარეს ეკა ლომაიას, რომელმაც თავის მხრივ ეს თანხა გადაუნაწილა ექვს ფიზიკურ პირს - აქედან, ოთხს 1200 ლარი, ხოლო ორს - 1100 ლარი, კონსერვატიული პარტიის საწევრო შენატანის სახით.

მიუხედავად გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებებისა, კოალიცია "ქართული ოცნების" წევრის მერაბ კაჭახიძის ადვოკატი კობა კობახიძე შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებას უკანონოს უწოდებს.

კობახიძის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს ბრალი ჯერ არ წაყენებია და გამომდინარე აქედან, შინაგან საქმეთა სამინისტროს არ გააჩნდა უფლება რაიმე განმარტება გავრცელებინა.

"გამომძიებელს ბრალი არ წაუყენებია კაჭახიძისთვის, დაკავებული პასუხისგებაში ჯერ არ არის მიცემული, შესაბამისი აქტი შედგენილი არ არის. გამომძიებელმა მას ხომ უნდა აუხსნას კონკრეტულად რაში ედება ბრალი, იქნებ ისეთი ფაქტები დაუპირისპიროს კაჭახიძემ, რომ ის უდანაშაულოდ ცნონ?" - განაცხადა კობახიძემ და იქვე დასძინა, "შსს-ს განცხადება იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ გამოძიება ტენდენციურად მიმდინარეობს."

სტუდენტებმა საარჩევნო კოდექსი დაიწუნეს

სტუდენტური მოძრაობა «სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფი» საარჩევნო კოდექსის იმ ნაწილს აპროტესტებს, რომელშიც დამოუკიდებელ მაჟორიტარ კანდიდატთა ცესკო-ში დარეგისტრირებაზეა საუბარი. ორგანიზაციამ, რომელშიც გაწევრიანებულები არიან სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების, მათ შორის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, გუშინ აქცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან გამართა.

გასული წლის დეკემბერში მიღებული საარჩევნო კოდექსით, დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის სავალდებულოა ცესკო-ს მიერ მითითებულ ანგარიშზე 5 000 ლარის შეტანა. საინიციატივო ჯგუფმა შესაბამისი საბანკო დოკუმენტი საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნებამდე, მაქსიმუმ, 50 დღით ადრე უნდა წარუდგინოს. მაჟორიტარობის დამოუკიდებელ კანდიდატს აღნიშნულ დეპოზიტზე შეტანილი თანხა სრულად მაშინ დაუბრუნდება, თუ არჩევნებში ხმების 10 პროცენტს მაინც მიიღებს. სხვა შემთხვევაში, 5 000 ლარი ბიუჯეტში გადაირიცხება.

სტუდენტური მოძრაობის წევრები ამბობენ, რომ არჩევნებში დასარეგისტრირებლად 5 000 ლარის დაკისრება არათანაბარ პირობებში აყენებს პარტიული სიით გასულ მაჟორიტარებსა და დამოუკიდებელ კანდიდატებს. ამასთან, მათივე მოსაზრებით, კანონის ეს მუხლი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან, რომელშიც წერია, რომ «ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა".

ის უფლება, რომ კანონის წინაშე ყველა თანაბარია, დარღვეულია საარჩევნო კოდექსის ამ მუხლით. ამიტომ, მოვითხოვთ, პარლამენტმა ეს ვალდებულება კანონიდან ამოიღოს. შუამდგომლობა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა გაგვიწიოს და სწორედ ამიტომ ვმართავთ აქციას ცესკო-სთან," - ამბობს «სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი ალექსანდრე კობაიძე.

ცნობისათვის - აღნიშნული წინადადება საარჩევნო კოდექსის პროექტზე მსჯელობისას "ქრისტიან-დემოკრატებმა" დააყენეს. პარტიის წევრები მიიჩნევენ, რომ საკანონმდებლო ცვლილება დამოუკიდებელ კანდიდატებს პოლიტიკური მანიპულაციებისგან დაიცავს.

"ჩვენთვის მთავარია, დამოუკიდებელი კანდიდატები მანიპულაციის საგნად არ იქცნენ. ხელისუფლებამ შესაძლოა, დამოუკიდებელი კანდიდატები ოპონენტების წინააღმდეგ გამოიყენოს და მაჟორიტარად ლოკალური გავლენის ადამიანი წარადგინოს. ეს კანდიდატი შეეცდება, პოლიტიკურ მეტოქეს მხარდამჭერები წაართვას," - აცხადებს ლევან ვეფხვაძე.

მაგდა ლეკიაშვილი

"ქართული ოცნების" მაჟორიტართა ახალი ტალღა

მაგდა ლეკიაშვილი

კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა მაჟორიტარობის მორიგი კანდიდატები წარადგინა. გაერთიანება კიდევ ერთ ნაკადს ხუთშაბათს დაასახელებს და, როგორც ბიძინა ივანიშვილის ამბობს, დარჩება მხოლოდ თბილისის რამდენიმე უბნის მაჟორიტარის გამჟღავნება. ეს კანდიდატები ჯერ შეთანხმებული არ არის. აჭარის რეგიონის მაჟორიტართა შემადგენლობა ასე გამოიყურება: ქობულეთი - იურისტი და პოლიტიკოსი, პედაგოგი ფატი ხალვაში; ბათუმი - მურმან დუმბაძე; შუახევი - მწერალი, მწერალთა კავშირის წევრი შოთა ზოიძე; ხელვაჩაური - აგრონომი როსტომ ხალვაში; ხულო - სამართალმცოდნე ზია საგინაძე. კახეთის რეგიონი: გურჯაანი - რეჟისორი მანანა ბერიკაშვილი; თელავი - ეკონომისტი, ბიზნესისა და მართვის სპეციალისტი გელა სამხარაული; სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი: სენაკი - მწერალი, დრამატურგი გურამ ოდიშარია; აბაშა - ბიზნესმენი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის მენეჯერი ირაკლი ბერულავა; ფოთი - იურისტი ეკა ბესელია; ლენტეხი - ეკონომისტი, ბიზნესმენი გია გაზდელიანი.

კოალიციაში ამბობენ, რომ მათ მიერ წარმოდგენილი მაჟორიტართა სია სერიოზული განახლების საფუძველია. მათი თქმით, სიაში არიან, ერთი მხრივ, ძალიან გამოცდილი პოლიტიკოსები, რომლებმაც უკვე დაამტკიცეს თავიანთი ბრძოლისუნარიანობა და, მეორე მხრივ, ადამიანები, რომლებიც გამოცდილები არიან საკუთარ საქმეში და საზოგადოების სერიოზული ნდობა აქვთ.

ქობულეთში მაჟორიტარობის კანდიდატი ფატი ხალვაში ქიბარ ხალვაშის დაა. ბიძინა ივანიშვილმა ის წარადგინა, როგორც პატიოსნებით გამორჩეული ადამიანი და აღნიშნა, რომ კანდიდატებს სწორედ მათი წარსულისა და საზოგადოებრივი საქმიანობის მიხედვით არჩევს. ივანიშვილისვე განცხადებით, მისი პარტიის წევრის ძმა ქიბარ ხალვაში ასევე პატიოსანი ადამიანია და ის დღევანდელი ხელისუფლების მსხვერპლია. პოლიტიკოსის განცხადებით, ხალვაში შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორ ექცევა დღევანდელი ხელისუფლება წესიერ ხალხს.

ივანიშვილმა ისაუბრა მაჟორიტარობის კიდევ ერთ კანდიდატზე - მურმან დუმბაძეზე, რომელიც წარსულში "რესპუბლიკური პარტიის" წევრი იყო. ყოფილ "რესპუბლიკელ" მურმან დუმბაძეს რამდენიმე თვის წინ კონფლიქტი ჰქონდა პარტიასთან, რის შემდეგაც ის პარტიიდან გარიცხეს. ამის გამო დუმბაძემ "ქართულ ოცნებაში" გაერთიანება მოითხოვა, პირად საუბარში "რესპუბლიკელების" ლიდერმა დავით უსუფაშვილმა მას უარი უთხრა. თუმცა, 26 მარტს, კოალიციაში მისი მიღების შესახებ "ქართულმა ოცნებამ" ოფიციალური განცხადება გააკეთა. ახლა დუმბაძე "ქართული ოცნების" სახეა ბათუმში. «ქართული ოცნების» ლიდერის თქმით, დუმბაძეს რაღაცები შეშლია, თუმცა მას ამის გამო ბოდიში მოუხდია. ივანიშვილი მიმდინარე წლის 31 მარტს მომხდარ ინციდენტზე მიუთითებდა. მაშინ მურმან დუმბაძე «ტვ 25»-ის პირდაპირ ეთერში, გადაცემა «ობიექტივში» აზიზიეს მეჩეთის შესახებ საუბრობდა. ეთერში გია მასალკინის სატელეფონო ზარის შემდეგ კი დუმბაძემ განაცხადა, რომ გიორგი მასალკინი ეთნიკურად ქართველი არ არის და ვერ მიხვდა, რა არის საქართველო. ამ ფაქტის შემდეგ ის ქსენოფობიაში დ თუმცა, რამდენიმე დღის შემდეგ დუმბაძემ ბოდიში მოიხადა და აღნიშნა, რომ მისი განცხადება ნამდვილად შეიცავდა ქსენოფობიის ნიშნებს.

"მურმანს შეშლია, მეც გამისწორება, ვაჟკაცობა გამოუჩენია და ბოდიში მოუხდია. ადამიანს შეცდომის დაშვების შემდეგ აღიარების საშუალებაც უნდა ჰქონდეს. მე მას კირკიტა კაცს ვეძახი, ოღონდ კარგი გაგებით, ის ყოველთვის იცავს საკუთარ პრინციპებს, მუდმივად ხელისუფლების ოპოზიციაშია. ახლა მას, როგორც იქნა, მიეცა ხელისუფლებაში მოსვლის საშუალება და იმედი მაქვს, შემდგომში ოპოზიციას ლოიალურად მოექცევა," - ამბობს ბიძინა ივანიშვილი. თავად მურმან დუმბაძის განცხადებით, მისი მაჟორიტარ კანდიდატად წარდგენა კოალიციის ერთობლივი გადაწყვეტილება იყო.

საკუთარ ძალებში დარწმუნებულია მაჟორიტარობის კიდევ ერთი კანდიდატი ეკა ბესელია. იგი ფოთში იყრის კენჭს. ბესელიას თქმით, ხელისუფლების დაპირება, რომელიც ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შემოღებას ითვალისწინებდა, კრახით დასრულდა. ფოთის პრობლემებზე საუბრისას პოლიტიკოსი წყლის მიწოდებაზე, გზებზე, უმუშევრობასა და კორუფციაზე აკეთებს აქცენტს. მისი თქმით, კორუფცია, რომელიც ამ ქალაქშია, არ აძლევს მოსახლეობას მათთვის გამოყოფილი შეღავათებით სარგებლობის საშუალებას. ბესელია ფოთის მოსახლეობას ისეთ საარჩევნო პროგრამას სთავაზობს, რომლის საშუალებითაც ადგილობრივები აღნიშნულ დაბრკოლებების გადალახავენ. "ქართული ოცნების" წევრი დარწმუნებულია, რომ ახალი პროგრამით ისინი არჩევნებში გამარჯვებას შეძლებენ.

მაჟორიტარობის კანდიდატთა წარდგენის შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა წინასაარჩევნო აქციის მომდევნო დრო და ადგილი დაასახელა - "ქართული ოცნება" ამომრჩევლებს 5 აგვისტოს ბათუმში შეხვდება.

ეგვიპტის ხელისუფლებამ მუბარაქის ციხეში დაბრუნება გადაწყვიტა

ეგვიპტის გენერალურმა პროკურორმა დაადგინა, რომ ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი ციხეში უნდა დაბრუნდეს, რადგან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა.

პროკურორის თანაშემწის განცხადებით, გადაწყვეტილება სპეციალური სამედიცინო მოხსენების საფუძველზე მიიღეს, რომელშიც აღნიშნულია, რომ მუბარაქის ჯანმრთელობის მდგომარეობა ასაკის გათვალისწინებით სტაბილურია. ცნობისათვის, მუბარაქი 84 წლის არის. ამ დროისათვის უცნობია, ზუსტად როდის დაბრუნდება მუბარაქი ციხეში.

მუბარაქის ჯანრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემდეგ იგი ციხიდან სამხედრო ჰოსპიტალში ივნისში გადაიყვანეს. ყოფილმა პრეზიდენტმა რამდენიმე ინსულტი გადაიტანა. ცნობა მისი კლინიკური სიკვდილის შესახებ ეგვიპტის ხელისუფლებამ უარყო.

ივნისში მუბარაქს 2011 წლის დასაწყისში ე.წ "არაბული გაზაფხულის" დღეებში დემონსტრანტების მკვლელობაში მონაწილეობის გამო სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

ყოფილ პოლიციელს პოლიტკოვსკაიას მკვლელობაში მონაწილეობაში დასდეს ბრალი

რუსმა გამომძიებლებმა ყოფილ პოლიციელს ექვსი წლის წინ ცნობილ ჟურნალისტ და უფლებადამცველ ანა პოლიტკოსკაიას მკვლელობის მომზადების მხარდაჭერაში დასდეს ბრალი.

პოლიტკოვსკია ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს იძიებდა და მოქმედ პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს მკაცრად აკრიტიკებდა.

გამომძიებლებმა დმიტრი პავლუშენკოვი დაადანაშაულეს პოლიტკოვსკაიას თვალყურის დევნაში, რომელიც 2006 წელს (მკვლელობის დროს) პოლიციაში მსახურობდა. მას ასევე ბრალად ედება ჟურნალისტის მკვლელების იარაღით უზრუნველყოფა. პოლიტკოვსკაის 2006 წლის 7 ოქტომბერს (ცნობისათვის, 7 იქტომბერს ვლადიმერ პუტინის დაბადების დღეა) საკუთარ სადარბაზოსთან რამდენჯერმე ესროლეს.

უფლებადამცველები და პოლიტკოვსკაიას კოლეგები დიდი ხანია, აცხადებენ, რომ მათ არ სჯერათ მკვლელობის რეალური შემკვეთის გამოაშკარავება.

რუსი გამომძიებლების მიხედვით, მკვლელობის შემკვეთმა ჩეჩენი წარმოშობის ლომ-ალი გაიტუკაევი დაიქირავა, რომელმაც ექვსკაციან ჯგუფთან ერთად განახორციელა უფლებადამცველზე თავდასხმა. პავლუშენკოვი ამ ჯგუფის წევრი იყო. როგორც გამომძიებლები აღნიშნავენ, პავლუშენკოვის საქმეს პოლიციასთან მისი კავშირის გამო ცალკე განიხილავენ.

აფრიკის კავშირის ლიდერად პირველად აირჩიეს ქალი

სამხრეთ აფრიკელი პოლიტიკოსი აფრიკის კავშირის პირველი ქალი ლიდერი გახდა.

ნკოსაზანა დლამინი-ზუმა სამხრეთ აფრიკის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, რომელიც აფრიკის კავშირის კომისიამ ეთიოპიაში გამართულ აფრიკის კავშირის სამიტზე კავშირის ლიდერად აირჩია.

დლამინი-ზუმა პირველი ქალბატონი იქნება, რომელიც კონტინენტს უხელმძღვანელებს. აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია 1963 წელს შეიქმნა, 2002 წელს კი აფრიკის კავშირად გადაკეთდა. მასში აფრიკის 54 სახელმწიფოა გაერთიანებული (კავშირში შესული არ არის მონაკო). ის ასევე პირველი სამხრეთ აფრიკელია, რომელიც კავშირს ჩაუდგება სათავეში.

დლამინი-ზუმას წინაშე მთელი რიგი გამოწვევები დგას - კავშირს ხშირად აკრიტიკებენ, რომ ის ძალიან ნელა და არაეფექტურად მოქმედებს არსებული კრიზისის პირობებში, მაგალითად ისეთის როგორიც გასულ წელს ლიბიის კრიზისი იყო.

ამერიკის მთავრობა: ბრედლი მენინგი მტრებს ეხმარებოდა

ამერიკის მთავრობის მტკიცებით, მათ გააჩნიათ იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ ბრედლი მენინგი ქვეყნის მტრებს ეხმარებოდა.

მერილენდში სამხედრო სასამართლოზე განაცხადეს, რომ ბრედლი მენინგი საიდუმლო მასალებს იმ "კონკრეტულ მისამართზე" აგზავნიდა, სადაც ქვეყნის მტრები ნახავდნენ.

კაპიტანი ჯო მოროუ, რომელიც ხუთკაციანი სასამართლო ჯგუფის წევრია, აცხადებს, რომ მთავრობა სასამართლოს წარუდგენს მტკიცებულებას, რომელიც ადასტურებს, რომ მენინგი შეგნებულად გზავნიდა ინფორმაციას "განსაზღვრულ მისამართზე" და მან იცოდა, რომ ამ ინფორმაციას ქვეყნის მტრები გამოიყენებდნენ.

"გარდიანის" ცნობით, მას არ დაუსახელებია "ალ ქაიდა", თუმცა ეს ტერორისტული დაჯგუფება გარკვევით დაასახელეს წინა მოსმენების დროს.

აღნიშნულს მენინგის ადვოკატი დევიდ ქუმბსი ეწინააღმდეგება, რომელმაც მთავრობისგან მოითხოვა, წარმოადგინოს იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ მენინგი ქვეყნის მტრებს ეხმარებოდა.

ქვეყნის "მტრისთვის დახმარების აღმოჩენა" 22 ბრალდებას შორის ყველაზე სერიოზულია, რომელიც სამხედროს სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს. მენინგი ორი წელიწადია, სამხედრო ციხეში იმყოფება. მას "ვიკილიქსისათვის" ათასობით საიდუმლო დოკუმენტის მიწოდება ბრალდება. მასალები შემდეგ "გარდიანში" და სხვადასხვა საერთაშორისო გამოცემებშიც გამოქვეყნდა.

მოამზადა თამთა კახაძემ

ობამა რომნის ბოდიშს არ მოუხდის

თამთა კახაძე

ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ამომრჩეველს ურჩია, ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მისი მეტოქე მიტ რომნის ბიზნესწარსულით დაინტერესდეს, რომელიც აცხადებს, რომ კომპანია Bain-ის მართვის გამოცდილებით ის უკეთ გაუმკლავდება ეკონომიკურ კრიზისს. ობამას თქმით, კომპანიის მართვის დროს რომნი, ძირითადად, საკუთარი მილიონერი პარტნიორების საქმეებით იყო დაკავებული და არა მომუშავეთა პრობლემებით. ამ განცხადების გამო ბოდიშის მოხდაზე ობამამ საჯაროდ თქვა უარი.

"მიტ რომნი ირწმუნება, რომ ეკონომიკურ პრობლემებს გადაჭრის ბიზნესში დიდი გამოცდილებიდან გამომდინარე. მიმაჩნია, რომ ამომრჩევლებს სრულიად სამართლინად სურთ, გაიგონ, თუ კონკრეტულად რა გამოცდილება გააჩნია მას," - აღნიშნა ობამამ ვირჯინიის შტატის ერთ-ერთი ტელეარხისათვის მიცემულ ინტერვიუში.

როგორც "როიტერი" აღნიშნავს, ობამას მხარდამჭერებმა შეადგინეს დოკუმენტი, სადაც ჩამოთვლილია ის გაკოტრებული კომპანიები, რომლებიც Bain-ს მაშინ ეკუთვნოდა, როდესაც ფირმის პრეზიდენტი მიტ რომნი იყო. თუმცა, თავად რომნი აღნიშნულზე პასუხისმგებლობას იხსნის და აცხადებს, რომ ის ამ პერიოდში კომპანიას აღარ მართავდა (ამის შესახებ უკვე წერდა «24 საათი»).

"მე, როგორც ამერიკის პრეზიდენტს, გათავისებული მაქვს, რომ პასუხი ვაგო ყველაფერზე, რაც ჩემი დაკვირვების არეალში ხვდება," - პასუხობს ობამა რომნის. ობამას შტაბი ირწმუნება, რომ რომნი პასუხისმგებელია იმ კომპანიების გაკოტრებაზე, რომლებიც Bain-ს ეკუთვნოდა.

ცნობისათვის - რომნიმ ობამას ბოდიშის მოხდა მოსთხოვა იმ განცხადების გამო, რომლის თანახმად, მან კანონი დაარღვია, როდესაც კომპანია Bain-ში საკუთარი ფუნქციები დაამახინჯა.

ჩინეთმა უცხოელ ინვესტორებს საგადასახადო შეღავათები შესთავაზა

თინა შავაძე

ჩინეთის ხელისუფლებამ უცხოური კომპანიების მოგების გადასახადის შემცირება გადაწყვიტა. ახალი ინიციატივით, უცხოელი ინვესტორები მოგების 50 პროცენტის რეპატრიაციას (მიღებული მოგების ქვეყნიდან შეუზღუდავად გატანა) შემცირებული გადასახადით მოახდენენ. მსოფლიო პრაქტიკაში ამას ინვესტორების "საგადასახადო არდადეგებზე" გაშვებას ეძახიან და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით იყენებენ.

ამავე დროს 10-დან 5 პროცენტამდე შემცირდება იმ დივიდენდების გადასახადები, რომლებსაც უცხოელ აქციონერებს გადაუხდიან.

RBC-ს ინფორმაციით, ორივე შემთხვევაში შეღავათიანი ტარიფები გავრცელდება მხოლოდ იმ ქვეყნების კომპანიების მიმართ, რომლებსაც ჩინეთთან ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები აქვთ გაფორმებული.

ჩინეთის სავალუტო ბაზრის რეგულირების სამსახურის მონაცემებით, გასულ წელს უცხოურმა კომპანიებმა დივიდენდის სახით 65 მილიარდი დოლარის რეპატრიაცია მოახდინეს. რეპატრიაციის გადასახადმა, დაახლოებით, 8.6 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც ჩინეთის ბიუჯეტში ყველა უცხოური კომპანიების მიერ გადახდილი თანხის ნახევარზე მეტია.

გაზეთ Financial Times-თან საუბარში KPMG-ის პარტნიორი და საგადასახადო პრაქტიკის ხელმძღვანელი ჩინეთში ჰუნ მინ ჰო ამბობს: "მსოფლიო ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩინეთი ცდილობს, უცხოელი ინვესტორებისთვის ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო შექმნას. ქვეყანამ საგადასახადო შეღავათების გამოცხადება კომპანიების მიერ ყოველწლიური დივიდენდების გადახდას მიზანშეწონილად დაამთხვია".

ექსპერტების პროგნოზით, თავდაპირველად კომპანიები ახალ საგადასახადო შეღავათებს გამოიყენებენ და ჩინეთიდან რეპატრიაციის გზით უფრო მეტ თანხას გაიტანენ, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს მათ სტიმულს მისცემს, რათა ქვეყანაში ინვესტიციების მოცულობა გაზარდონ.

გამოცემა აღნიშნავს, რომ ჩინეთში უცხოური ინვესტიციების ხელშემწყობი ღონისძიებები დოულად გატარდა.

მიმდინარე წლლის პირველ ნახევარში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნაში 3 პროცენტით შემცირდა და 59.1 მილიარდ დოლარს მიაღწია.

Forbes-მა უმსხვილესი ნავთობმომპოვებელი კომპანიების რეიტინგი გამოაქვეყნა

ჟურნალმა 2012 წლის მსოფლიოს უმსხვილესი ნავთობმომპოვებელი კომპანიების რეიტინგი გამოაქვეყნა. რეიტინგი ყოველდღიურად წარმოებული ნავთობისა და გაზის მოცულობის მონაცემებს ეყრდნობა.

რეიტინგის სათავეში საუდის არაბეთის ეროვნული ნავთობის კომპანია Saudi Aramco მოექცა, რომელიც დღეში 12.5 მილიონ ბარელს მოიპოვებს და რომლის ყოველდღიური შემოსავლები 1 მილიარდ დოლარზე მეტია.

რუსული გაზის ჰოლდინგური კომპანია "გაზპრომი" მეორე ადგილზეა - მისი ყოველდღიური მოპოვება 9.7 მლნ. ბარელს შეადგენს.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, "კრემლის მიერ კონტროლირებადი მონოპოლია" გაზპრომზე", რომელიც გაზს ევროპის ბევრ ქვეყანას აწვდის, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს კარგ ბერკეტს უქმნის იმისთვის, რომ რეგიონზე ზეგავლენა მოახდინოს".

"გაზპრომის" მოგება წელიწადში 40 მილიარდ დოლარს აღემატება.

მესამე ადგილი რეიტინგში ირანის ეროვნული ნავთობის კომპანია National Iranian Oil Co-მ დაიკავა - მისი მოპოვება 6.4 მილიონი ბარელია დღეში.

10 უმსხვილესი კომპანიის სიაში არიან: ExxonMobil, PetroChina, BP, Royal Dutch Shell, Pemex, Chevron და Kuwait Petroleum Corp.

ბრძოლა პოზიციებისთვის - ცეცხლის ალში გახვეული დამასკო

ხათუნა გაბიევი

სირიის დედაქალაქში ორი დღის წინ დაწყებული გააფთრებული ბრძოლა ამ დრომდე არ წყდება, ქალაქი კვამლშია გახვეული, ხოლო აფეთქებების ხმა ყველა ქუჩაზე ისმის. ამბოხებულები აცხადებენ, რომ უკვე ორ კვარტალს აკონტროლებენ და ასადის ჯარისკაცებს თავიანთ მხარეზე გადასვლისკენ მოუწოდებენ. შეტაკებებია იდლიბსა და ჰომსშიც, სადაც ტყვიამფრქვევებით აღჭურვილ მეამბოხეებს არმია ტანკებით უტევს. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის შეფასებით, ინტენსიური შეტაკებები დამასკოში იმის ნიშანია, რომ ასადის რეჟიმი სუსტდება და დიდხანს ვეღარ გაძლებს. ჰილარი კლინტონმა ამის შესახებ "ბი-ბი-სი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. იგი გაჭიანურებულ კონფლიქტში ჩინეთსა და რუსეთს ადანაშაულებს, რომელთა ხისტი პოზიცია ხელს უშლის შეიარაღებული კონფლიქტის რეგულირებას. მოსკოვში კი სირიის საკითხზე სერგეი ლავროვი საერთაშორისო მედიატორს ესაუბრა. რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელისა და კოფი ანანის შეხვედრა დახურულ კარს მიღმა 2 საათს გაგრძელდა. მათ შეხვედრის შემდეგ პრესკონფერენცია არ გაუმართავთ, რამაც ანალიტიკოსებს აფიქრებინა, რომ კომპრომისი ვერ მოიძებნა. კოფი ანანთან შეხვედრამდე კი სერგეი ლავროვმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, სადაც რუსული პოზიციის შესახებ ისაუბრა. **"ჩვენ მხარს არ ვუჭერთ ბაშარ ასადს. ვემხრობით კოფი ანანის გეგმას, მაგრამ შანტაჟის ნიშნები აშკარაა. გვითხრეს, თუ მხარს არ დავუჭერთ გაერო-ს წესდების მეშვიდე მუხლით გათვალისწინებულ რეზოლუციას, სადამკვირვებლო მისიას ვადა აღარ გაგურძელდება. ეს აბსოლუტურად კონტრპროდუქტიული მიდგომაა. ბევრჯერ გსმენიათ მანტრასავით გამეორებული სიტყვები, თითქოს მოსკოვშია სირიის კრიზისის გადაწყვეტის გასაღები და გვეუბნებიან, რომ ასადი უნდა დავარწმუნოთ, გადადგეს. ეს არარეალურია. თუ ეს, უბრალოდ, რევოლუციაა, მაშინ რატომ ერევა გაერო და საერთაშორისო საზოგადოება. ჩვენც შეშფოთებულნი ვართ, რადგან ვხედავთ, რომ სირიაში მესამე ძალა გამოჩნდა - "ალ კაიდა" და მასთან დაახლოებული ექსტრემისტული ორგანიზაციები,"** - განაცხადა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

გაერო-ს ყოფილი გენერალური მდივანი და არაბული ლიგის საგანგებო დესპანი გუშინ პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინსაც შეხვდა. კონსულტაციებამდე კი კოფი ანანი ტელეფონით კიდევ ერთხელ ესაუბრა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს დეტალების შესათანხმებლად.

გავრცელდა ერაყში სირიის ყოფილი ელჩის განცხადებაც. იგი ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების შესაძლებლობასაც არ გამორიცხავს. მით უფრო, რომ, დიპლომატის თქმით, მსგავსი ტიპის იარაღი სირიაში ერთხელ უკვე გამოიყენეს - კერძოდ, ჰომსში. ნავაფ ფარესის თქმით, რომელმაც თავშესაფარი თურქეთს სთხოვა, ასადი ხელისუფლებიდან არ წავა, თუნდაც ამისთვის სირიის ერის მსხვერპლად შეწირვა მოუხდეს. სირიის პრეზიდენტი კი თანამდებობის დატოვებას არ ჩქარობს, როგორც ეს "ვიკილიქსის" მიერ გამოქვეყნებული მასალებით დასტურდება. საიდუმლო კორესპონდენციაში აღმოჩენილია ცნობები იმის შესახებ, რომ ბაშარ ასადს, მეუღლესთან ერთად, თავისი ახალი რეზიდენციისთვის 500 ათასი დოლარის ღირებულების ავეჯი და ნივთები აქვს შეძენილი ბრიტანული ონლაინ მაღაზიიდან. რეზიდენციის რემონტი საპორტო ქალაქ ლათაყიაში დღემდე მიმდინარეობს. ამის მიუხედავად, სირიელი ამბოხებულები მმართველ რეჟიმს დღეებს უთვლიან. მათი თქმით, ბაშარ ალ-ასადი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილ ბარბაროსულ ქმედებაზე პასუხს აგებს. ამბოხებულთა სამიზნე არა მარტო ასადის მომხრეები, არამედ მათი მოკავშირე ლიბანური "ჰეზბოლა" და ირანის რევოლუციის გუშაგთა საბჭოც იქნება. იმის გამო, რომ თეირანი მმართველი რეჟიმის მოკავშირეა, ოპოზიციამ უარი ირანის მიერ გამოთქმულ შუამავლობაზეც თქვა. **"ნებისმიერი ქვეყნის შუამავლობას მივესალმებით, ირანის გარდა, რადგან იგი უკვე კონფლიქტის მხარეა და სირიის რეჟიმს იარაღით, ფულითა და პოლიტიკური მხარდაჭერით უმაგრებს ზურგს. სისხლისღვრა ალბათ მანამდე გაგრძელდება, ვიდრე რევოლუცია ჩვენი გამარჯვებით არ დასრულდება,"** - განაცხადა თურქეთში ერთ-ერთ ოფიციალურ შეხვედრაზე სირიის ნაციონალური საბჭოს ხელმძღვანელმა აბდულბასეტ სიედამ.

ქვეყანაში რომ სამოქალაქო ომია, ახლახანს "წითელმა ჯვარმაც" დაადასტურა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დევნილთა სააგენტომ კი უკვე გამოაქვეყნა სირიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობრივი სია - ლტოლვილების რიცხვმა უკვე 112 ათას კაცს მიაღწია. სირიის საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში კენჭისყრა წესდების მე-7 მუხლის შესაბამისად რეზოლუციის ამოქმედებაზე, რუსეთისა და ჩინეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, დღეს გაიმართება.

საკადრო ცვლილებები ჩრდილოეთ კორეაში

სალომე ჯანიაშვილი

ჩრდილოეთ კორეის გენერალური შტაბის მეთაური ლი იონ ჰო, ქვეყნის მმართველი პარტიის გადაწყვეტილებით, თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ჩრდილოეთ კორეის ცენტრალური საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, 69 წლის მაღალჩინოსნის «ყველა პოსტიდან" გათავისუფლების მიზეზი ჯანმრთელობის პრობლემები იყო. თუმცა კონკრეტულად რა დაავადება აქვს გენშტაბის უფროსს, ინფორმაცია არ გავრცელებულა. ერთდღიანი დაგვიანებით გამოცხადდა, რომ მის თანამდებობას ვიცე-მარშალი ჰენ ენ ჩხოლი დაიკავებს.

დეტალებზე განცხადება არ გაკეთებულა ამიტომ ბევრი ფაქტი ჯერ კიდევ გაურკვევლია. სკეპტიკოსებს ეჭვი ეპარებათ, რომ გადადგომის ნამდვილი მიზეზი ჯანმერთელობის მდგომარეობაა. არსებობს ვარაუდი, თითქოს ეს გადაწყვეტილება დაკავშირებულია «ძალაუფლების გადანაწილებასთან" ქვეყნის შიგნით, თუმცა ლის ბოლო სახალხო გამოსვლის დროს უთანხმოების ნიშნები მასსა და ახალ მმართველს შორის არ შეინიშნებოდა. ამასთან, ის საკმაოდ ჯანმრთელად გამოიყურებოდა.

ჩრდილოეთ კორეის საერთაშორისო კრიზისის ჯგუფის ექსპერტმა დენიელ პინკსტონმა განაცხა, რომ ნაკლებ სავარაუდოა, ლის გადაყენება ჯანმრთელობის მდგომარეობამ განაპირობა. ექსპერტის აზრით, ახლანდელმა ლიდერმა კიმ ჩენ ინმა ამით მესიჯი გაუგზავნა ყველას, ვისაც სურს, რომ დაუპირისპირდეს მას. ამ შემთხვევაში იმ ფაქტს, რომ ლი აშკარად არასდროს დაპირისპირებია ახალ ლიდერს, არავითაირი მნიშვნელობა არა აქვს.

ლი იონ ჰოს ერთდროულად რამდენიმე თანამდებობა ეკავა: იყო კორეის მშრომელთა პარტიის პრეზიდიუმის პოლიტბიუროს წევრი, ასევე პარტიის ცენტრალური სამხედრო კომიტეტის უფროსის მოადგილე. გენშტაბის ხელმძღვანელად კი ის დაინიშნა სამი წლის წინ, კიმ ჩენ ირის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე. ლი იონ ჰო რეგულარულად ჩნდებოდა ტელეეთერში ქვეყნის ყოფილ მმართველთან ერთად. მან საკმაოდ დიდი როლი ითამაშა კიმ ჩენ ირის შვილის - კიმ ჩენ ინის ხელისუფლებაში მოსვლაში.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს არის კორეის ახალი ლიდერის ბიძის ჩან სონ ტხეკის გავლენბის გაძლიერების მაჩვენებელი. ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად, მართავს სახელმწიფოს კიმ ჩენ ირის გარდაცვალების შემდეგ. სხვა ვერსიით, ეს არის პარტიის მიერ არმიაზე კონტროლის მოპოვების მცდელობა.

კიმ ჩენ ინი ჩრდილოეთ კორეას მართავს უკვე ნახევარი წელია. მისი მმართველობის მთავარ განმაპირობებელ ფაქტორად მიიჩნევა ჯარზე კონტროლი, ამასთან ერთად მისი მმართველობის რბილმა მანერამ შესალებებლი გახადა მოსალოდნელ ცვლილებებზე ლაპარაკი დიქტატორულ რეჟიმში.

ანალიტიკოსები უკვე ეძებენ იმის ნიშნებს, თუ რა პოლიტიკას გაატარებს და საით წაიყვანს ქვეყანას კიმ ჩენ ინი, რომელიც, ბევრის აზრით, საკმაოდ ახალგაზრდა და გამოუცდელია.

გარდა ამისა, ბოლო დღეებში საერთაშორისო მედია საკმაოდ ბევრს საუბრობს ქალბატონზე, რომელიც ჩრდილოეთ კორეის ახალ ლიდერთან ერთად საჯარო ღონისძიებების დროს უკვე არაერთხელ შეამჩნიეს.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ჩრდლილოეთ კორეის საინფორმაციო სააგენტომ ცოტა ხნის წინ გამართული კონცერტის ფოტოები გამოაქვეყნა, სადაც ქვეყნის ახალი ლიდერის გვერდით შავთმიანი ქალი დგას. მაშინვე გაჩნდა კითხვა, თუ ვინ იყო ეს ქალი და რატომ იჯდა ლიდერის გვერდით.

ჩრდილოეთ კორეის მედია არავითარ ინფორმაციას არ იძლევა ამ ფაქტზე, მაგრამ აჩვენეს სურათები, როდესაც უცნობი ლედი თან ახლავს კიმ ჩენ ინს სხვადასხვა საჯარო ღონისძიებებზე. ვარაუდობენ, რომ ეს ქალი ან კიმ ჩენ ინის მეუღლე ან მისი დაა. თუმცა არც ისაა ცნობილი, დაქორწინებულია თუ არა ქვეყნის ახალი ლიდერი.

ზოგიერთი სამხრეთკორეული გამოცემის ცნობით, ლიდერის უცნობი თანამგზავრია ჰიონ სონ ვოლი, ჯგუფ «Electronic Music Band"-ის ყოფილი წევრი, რომელმაც თავისი წარმატების მწვერვალს 1995 წელს მიაღწია. 6-წლიანი შესვენების შემდეგ, 2012 წლის მარტში ის კვლავ დაუბრუნდა სცენას, რათა ახალი ლიდერისთვის ემღერა. გავრცელებული ინფორმაციით, ამ წლების განვმალობაში ის გათოხვდა და შვილი გააჩინა.

როგორც წესი, როდესაც საქმე ჩრდილოეთ კორეას ეხება, კითხვები უფრო მეტია, ვიდრე პასუხები. სურათზე აღბეჭდილი უცნობი ლედი ისევ იდუმალი რჩება. თუმცა კიმ ჩენ ინი, რომელიც ქვეყანას ჯერ მხოლოდ ექვსი თვეა მართავს, თავადაც არანაკლებ იდუმალებით არის მოცული.

შატილის რეაბილიტაცია იწყება

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

გუშინ შატილი საქართველოს პრეზიდენტმაც ინახულა, რომელმაც კომპლექსს შთამბეჭდავი უწოდა და იქ დაგეგმილი სამუშაობის დროულად დაწყებაზე გაამახვილა ყურადღება.

დაზიანებული შენობა, სხვა ორ ნაგებობასთან ერთად სასწრაფო რეკონსტრუქციის პროექტშია შეტანილი და იქ სამუშაოები მომავალ კვირას უნდა დაწყებულიყო. ამისათვის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ტენდერიც გამოაცხადა სამშენებლო კომპანიებს შორის და გამარჯვებულიც გამოავლინა.

როგორც სააგენტოს ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის უფროსი პაატა გაფრინდშვილი გვიხსნის, გამომდინარე იქიდან, რომ იმ რეგიონში სამუშაოს ჩატარება ორი თვის მანძილზეა შესაძლებელი, პირველ ეტაპზე შეირჩა ის უბნებო, რომელიც სასწრაფო მიხედვას საჭიროებდა. მათ შორის იყო აწჩამოშლილი კედელიც. საშიშროებას ის ქმნის, რომ ნაგებობები ერთმანეტზეა მიდგმული და საკმარისია, ერთი დაიძრას, სხვასაც წამოიყოლებს. სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფმა სამშენებლო კომპანიის წარმოადგენელთან ერთად დაათვალიერა დაზიანებული ნაგებობა და, როგორც ამბობენ, ძალიან რთული სამუშაო ელით: უნდა მოხდეს დარჩენილი კედლის მთლიანად ჩამოღება, საძირკვლის გამაგრება და შემდეგ მისი პირვამდელი სახით აღდგენა.

პაატა გაფრინდშვილი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის უფროსი: "ეს ურთულესი სამუშაოა, რომლის დამთავრებაც 15 სექტემბრამდე უნდა მოვასწროთ. მინხა ხაზი გავუსვა, რომ კედელი პირვანდელი სახით არდგება, იგივე მასალით. ეს რესტავრაციაში აბსოლუტურად მისაღები და აპრობირებული მეთოდია, როდესაც ქვები ინომრება და ზუსტი ნახაზებითსა და ანაზომების დახმარებით პირვანდელ სახეს იბრუნებს. ეს ერთადერთი გამოსავალია ამ კონკრეტულ შემთხვევაში. აქ საუბარი არ არის მთლიან შენობაზე, არამდ მხოლოდ მის წინაფასადზე. კონსტრუქციული გამაგრება სჭირდება სხვა შენობებსაც - 43 და 45 ნომრად სახელდებულ უბნებს. კიდევ კარგი, ტენდერი უკვე ჩატარებული გვქონდა და ფირსმაჟორში არ გვიხდება სამმენებლო კომპანიის ძებნა. ტურისტებისა და ჩვენი საზოგადოების დასამშვიდებლად ვიტყვით, რომ შატილის ფასადს პირვენდელი სახე კვლავ დაუბრუნდება. ".

შატილის სამი ნაგებობის რესტავრაციით ეროვნული სააგენტო იწყებს პროქეტს, რომლის მიხედვითაც მთლიანად შატილის რეაბილიტაცია უნდა მოხდეს. ეს კი გულისხმობს არა მხოლოდ ნაგებობების აღდგენას, დასახლების მთლიანი ქსოვილის მოწესრიგებას, მასთან მისასვლელი გზებით და ინფრასტრუქტურით. რაც მრავალწლიან სამუშაოს გულისხმობს. სახელმწიფო პროგრამით მსგავსი რეაბლიტაციის პროექტი დაიწყება თუშეთში - სოფელ დართლოში, სადაც ასევე სოფლის მთლიანი ქსოვილი მოწესრიგდება. პაატა გაფრინდაშვილის თქმით, მიმდინარე ზაფხულისათვის მათ დაგეგმილი აქვთ მუცოს ერთ-ერთი ნაგებობის რეაბილიტაციაც, რომლის მდგომარეობაც დღეისათვის ასევე ძალიან მძიმეა.

"სახელმწიფომ გადადგა ნაბიჯი და შეიქმნა პროექტები ყველა უნიკალურ ნაგებობაზე, რომელთა მდგომარეობაც მძიმეა. ეს ის პროექტებია, როცა ვიწყებთ მთლიანი განაშენიანების რეაბილიტაციას. სასიხარულოა, როცა ამგვარი უნიკალური დასახლებები გვაქვს და მთლიანად უნდა მოხდეს მათი ურბანული ქსოვილის აღქმა და შენარჩუნება" - ამბობს პაატა გაფრინდაშვილი და ეს ის შემთხვევაა, როცა ჟურნალისტმა წინასწარი კომენტარის გაკეთებისაგან თავი უნდა შეიკავოს. მკითხველს კი მხოლოდ იმას ვეყვით, რომ ხევსურული სოფელი შატილი, ის შემთხვევაა, როცა საქართველოს ისტორიულ ძეგლთა ნუსხაში არა რომელიმე ნაგებობა, მთელი ურბანული განაშენიანებაა შესული. შატილი ქართული სამშენებლო ხელოვნების ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია. კლდეზე შეფენილი სოფელი ერთდროულად საცხოვრებელიც იყო და ციხესიმაგრეც, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში დარაჯობდა საქართველოს ჩრდილოეთ გადმოსასვლელებს.

ჯონ ლორდის ბოლო აკორდი

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ჯონ ლორდი წავიდა. მშვიდი, ჭაღარა ბაბუ მშვიდად, უთქმელად წავიდა. ლონდონის კლინიკაში, 16 ივლისს ორღანის ძმაკაცი, ორღანის საუკეთესო მეგობარი, ორღანის მშობელი წავიდა. ჯონ ლორდმა რაღაცის დაკვრა ვერ მოასწრო, რაღაცის თქმა დაავიწყდა და მისტერ სიკეთე თავისი ორღანის დაღლილი ხმით გვესაუბრებოდა. ერთი გადარბენა კლავიშებზე, ერთი შეხება უსულო საგნის დასვენებულ სულთან და ორღანი საუბარს იწყებდა.

ჯონ ლორდი ორღანით მუსიკალურ რეცეპტებს ამზადებდა. რეცეპტი ყველა დაავადების მოსარჩენად. რეცეპტი ყველა დაღლილის ვენებში მუსიკალური კოკაინის შესაყვანად. რეცეპტი ყველა გურმანისთვის. ჯონ ლორდის მუსიკალურ კლინიკაში ყველა თანამშრომელი ბაბუა ჯონის "ჰემონდს" უვლიდა და ჯონი ლორდი იყო.

71 წლის ხდები და რაღაცეებს სხვა ჭუჭრუტანაში ხედავ. 71 წლის ლორდი არ შეცვლილა. ასაკმა მაკაგონის კარზე დაუკაკუნა და ჯონმა ასაკი შეუშვა, ძველ, კემბრიჯის კოლეჯიდან წამოღებულ სავარძელში ჩასვა და ჰენესი შესთავაზა. ასაკს ჯონი მოეწონა და ასაკმა ჯონის საწოლზე წაუძინა. რომ გაეღვიძა, მაესტრო "ჰემონდს" ეფერებოდა. "ჰემონდი" ჯონის ორღანი და საუკეთესო მეგობარი იყო.

ლორდმა გადახედა თავის სივის და გაეღიმა. კარგი, დასამახსოვრებელი სივია. ბევრი ლამაზი წელიწადი მეგობრებთან. აი, იმ ჯგუფში, ერთ-ერთი მონაწილის ბებომ დასახელება რომ მოუფიქრა. ის ჯგუფი მოგვესალმა, როგორც DEEP PURPLE. ჯონის, მისტერ იან პეისის, სმისტერ რიჩი ბლექმორის, მისტერ როჯერ გლოვერის და მისტერ იან გილანის კვინტეტი. იყვნენ სხვებიც და უფრო ეს ხუთი კარგი ბიჭი გვახსოვს. ლორდი ჯგუფის სითბო და კრუასანი იყო. თბილი, ვანილის კრუასანი, რომელიც შავ, მწვანე, არომატიზირებულ ჩაისთან, კაპუჩინოსთან, ესპრესოსთან, ელესდესთან, ჰაშიშზე, სილიკონიან ქალთან, ყველაფერზე მიდიოდა. ის კრუასანი სულ თბილი და გემრიელი იყო.

ჯონმა შექმნა კლავიშების ინტრო ეპიკში Child In Time. ჯონმა დაუხატა ბლექმორს სოლო ნეოკლასიკურ გარბენში Highway Star. ჯონმა შექმნა Lazy. ჯონმა და მისტერ პეისმა ერთჯერადი, ჩვეულებრივი საკონცერტო ოპუსი Made In Japan საუკუნეების უდიდეს ცოცხალ ნამუშევრად დატოვეს. ლორდი მიდის კიდევ ერთ მეგობართან და ის მეგობარი იცვლება, ცვლის თავის ჯგუფს და იმ ჯგუფის საუნდი მოქნილი, გაშლილი და ჰემონდური გახდა. მეგობარი იყო დევიდ კოვერდეილი, რომელიც ადრე, ბევრი წლის წინ მივიდა ფარფლებში და გილანის სირენა შეცვალა. კოვერდეილის ჯგუფი იყო, არის, იქნება Whitesnake. ლორდთან ერთად ჯგუფი გაიზარდა. კოვერდეილმა მიიღო მუსიკოსი კლასიკური განათლებით, რომელიც ვერ მოგობრობდა ერთფეროვნებასთან.

ჯონ ლორდი წავიდა. ჯერ იქვე, პატარა სკვერში ზის და მენავეს ელოდება. მალე გამოუვლიან და ჭაღარა ბაბუს წაიყვანენ. კიდევ ერთ, ბოლო კონცერტზე. თეთრ ამფითეატრში ბილეთებს გამოუძინებელი ანგელოზები დაარიგებენ და იქვე, ბონ სკოტთან ჩამოჯდებიან. თუ ეზოს სწრაფად დაგვის, კონცერტზე ფრედი მერკურიც მივა. ფრედი სულ აგვიანებდა. ჯენის ჯოპლინი უკვე იქ არის, კურტ კობეინს ფენით თმას უყენებს. ფილ ლაინოტი, გარი მური უკანა რიგებში ზიან. რენდი როუზიც გამოჩნდა.

მენავეს ბოლო დროს არ ასვენებენ. გაუარა და წამოიყვანა რონი ჯეიმს დიო (R.I.P.). გაუარა და წამოიყვანა სტივენ ლი (R.I.P.). გაუარა და წამოიყვანა მიკ ბერსტონი (R.I.P.). ჯონსაც გაუარა. ნავზე ჩამოიყვანა, ბორანზე "ჰემონდი" გადაატანინა და ამფითეატრამდე მიიიყვანა.

მალე კონცერტი იწყება.

ჯონ ლორდი წავიდა. მშვიდი, ჭაღარა ბაბუ მშვიდად, უთქმელად წავიდა. ჯონ ლორდმა რაღაცის დაკვრა ვერ მოასწრო, რაღაცის თქმა დაავიწყდა და მისტერ სიკეთე თავისი ორღანის დაღლილი ხმით გვესაუბრებოდა. ერთი გადარბენა კლავიშებზე, ერთი შეხება უსულო საგნის დასვენებულ სულთან და ორღანი საუბარს იწყებდა.

ჯონ ლორდმა რაღაცის თქმა ვერ მოასწრო და დღეს იტყვის. უბრალოდ, ჩვენ ამას ვერ გავიგებთ. არ გაგვიმართლა. ან გაგვიმართლა. მენავეს ჯერ არ ვახსოვართ და თუ გავახსენდებით, ჭაღარა ბაბუს ორღანის ხმასაც გავიგებთ.

ერთი გადარბენა კლავიშებზე, ერთი შეხება უსულო საგნის დასვენებულ სულთან და ორღანი საუბარს დაიწყებს.

Jon Lord, R.I.P.

ზესტაფონური ფეშქაშები

პირველი გვერდიდან

ვინც გუშინ თვალს გადაავლებდა აზერბაიჯანულ სპორტულ ვებ-გვერდებს იქაურთა ასეთი თავდაჯერებული და ერთგვარად ავყია ტონი აშკარად გააღიზიანებდა, თუმცა, როგორც ამბობენ, ტაბლოს შეხედეო და...

ბაქოს "დალღა არენას" ტაბლოზე კი შეხვედრის დასრულების შემდეგ ქართველი გულშემატკივარისთვის საგანგაშო და გულისგამხეთქი ანგარიში ეწერა. მიუხედავად ბაქოელთა ქადილისა, ბევრი ვერც წარმოიდგენდა, რომ "ზესტაფონი" სამი უპასუხო გოლით შერცხვენილი დატოვებდა აზერბაიჯანის დედაქალაქს.

არადა, პირველი ოცი წუთის შემყურე დიდი ანგარიშით მარცხი კი არა, სტუმრად გამარჯვებაც არ ჩანდა არალეარული - ზესტაფონელებმა მასპინძლებს მოედნის ცენტრში გასაბატონებლად გაუმართეს ბრძოლა და ერთი კარგი მომენტიც შექმნეს, მხოლოდ შექმნეს, ვერ გამოიყენეს და ბურთი საკუთარ კარში მიიღეს. 22-ე წუთზე სამ მცველს შორის მოქცეული იმამვერდიევი ისე დაუსხლტა ზესტაფონელებს, მეკარესთანაც პირისპირ გასვლა მოახერხა და როინ კვასხაძეს ისღა დარჩენოდა ბურთი საკუთარი კარიდან გამოეტანა.

შეცდომას შეცდომა მოჰყვა, თან ორ წუთში - ალბათ მატჩის საუკეთესო მოთამაშემ, ვობეიმ სტუმართა ფეშქაში შეირგო და საჯარიმოში ეულად შეჭრილმა აუღებელი დაურტყა ზესტაფონელთა მეკარეს. ტაიმის შუაში ორბურთიანი ჩამორჩენა "ზესტაფონისთვის" მაგარი ალიყური იყო, თუმცა, რაღა დაგიმალოთ და იმის იმედი კი ცოცხლობდა, რომ მარგველები ერთი ბურთის გატანას მოახერხებდნენ და საპასუხო მატჩის წინ რეალურ შანსს შეინარჩუნებდნენ. სცადეს კიდეც, როცა ზურაბ მენთეშაშვილმა შორეული საჯარიმო დარტყმიდან ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბაქოელები ხარიხამ იხსნა.

"ნეფთჩის" ლეგიონერი ვოებო მეორე გოლს ზეიმობს

იმედი მეორე ტაიმის საწყის წუთებშიც არ მომკვდარა - ბურთს მეტწილად გია ჭიაბრიშვილის შეგირდები ფლობდნენ, თუმცა საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა. 63-ე წუთზე კი კიდევ ერთი ფეშქაში მასპინძლებს სტუმართაგან - სრულიად უწყინარ სიტუაციაში ბაქოელთა ახალშენაძენ კანალესს ბურთი "ფეხზე მიართვეს" და 3:0.

"ძალიან გახარებული ვარ გუნდის თამაშით და, ცხადია, შედეგით. მართალი გითხრათ, ასეთ ანგარიშს არ ველოდი. გამარჯვებას მთავარ მწვრთნელ ბეუკაგი გაჯიევს ვუძღვნით და სულმოუთქმელად ველოდებით მის დაბრუნებას. ჯერ ადრეა იმის თქმა, რომ შემდეგ ეტაპზე გავედით, ჩვენი მიზანი საპასუხო შეხვედრაშიც გამარჯვებაა" - ასეთი კომენტარი გააკეთა ნამატჩევს "ნეფთჩის პრეზიდენტმა სადიჰ სადიჰოვმა. ხოლო გუნდის მთავარი მწვრთნელი ასე იმიტომ მოიხსენია, რომ გაჯიევი ავადმყოფობის გამო გუშინ სტადიონზეც არ ყოფილა და "ნეფთჩი" "ზესტაფონთან" მისმა თანაშემწემ ათამაშა.

ცხადია, საინტერესოა, რითი ახსნიან ასეთ სამარცხვინო მარცხს ზესტაფონელთა თავკაცები - ვარაუდებს ჯობს, მათ კომენტარებს დაველოდოთ. ფაქტი კი ერთია, "ნეფთჩი" არ იყო ის გუნდი, ასეთი დიდი ანგარიშით რომ მოეგო. ერთ კვირაში საპასუხო შეხვედრაა, ბაქოელთა მიზანი ზესტაფონშიც გამარჯვებაა, მარგველთა მიზანი კი ალბათ საკუთარი რეპუტაციისა და ღირსების აღდგენა უნდა იყოს - ასეც უნდა იყოს!

სერენას ტანგო

ალექსანდრე ასათიანი

უიმბლდონზე სერენა უილიამსმა დაისვენა. დიდი გოგო საშინელი ტრავმების შემდეგ ბალახზე ტანგოს ცეკვავდა. ცოტა მძიმედ აკეთებდა ყველა მოძრაობას, მაგრამ სერენას ტანგო მაინც განსაკუთრებული იყო. ტანგო სულ განსაკუთრებულია. ალ პაჩინოს სამხედრო გენიოსის, კრისტოფერ უოკენის, ელტონ ჯონის მეუღლის და სერენას შესრულებით. ყველას შესრულებით. სერენამ უიმბლდონის ფინალში ერთჯერადი, ერთფეროვანი და მონდომებული აგნეშკა რადვანსკა დასვა, სამ სეტში ბონუსი წაართვა. უილიამსმა რეიტინგში მეოთხე ადგილი დაირტყა და სტენფორდში შარშანდელი ფლეშის გამეორებისთვის ჩავიდა. მისის უილიამსმა ფლეში გაშალა და ეს მოსალოდნელი იყო. უილიამსი ამ გენერაციის შტეფი გრაფი, მარგარეტ სმიტ კორტი და მარტინა ნავრატილოვაა. უილიამსმა ერთეულებში ორმოცდამესამე ტურნირი მოიგო და იცის, რომ საუკეთესოა. რეიტინგში პირველზე ვიკა აზარენკა ჩამოჯდა და ჩოგბურთით პირველი სერენაა. შტეფის წასვლის შემდეგ იყვნენ შეუპოვარი მარტინა ჰინგისი, ელეგანტური მეორე უილიამსი, ნიჭიერი ლინდსი დავენპორტი და სექსუალური მარია შარაპოვა. სერენა ყველაზე გრაფული, რეალური იყო. სტენფორდში უმცროსმა უილიამსმა ყველა დაამშვიდა და კიდევ ერთხელ გაიმარჯვა.

სერენა უილიამსმა სტენფორდის ფინალი მოიგო

სერენა უილიამსმა. სტენფორდში. ჩანაწერები მისის უილიამსის კიდევ ერთი დღიურიდან.

I წრე. ისვენებს. პირველ წრეში უინტერესო გარჩევები იყო. სერენას გარეშე უინტერესო.

II წრე. ამერიკელი კიდევ ერთ ამერიკელზე, ნიკოლ გიბსზე გავიდა. 6:2, 6:1. სერენას კიდევ ერთი მასტერკლასი. მეორე წრე რვავე განთესილმა გაიარა. სეტი მხოლოდ იანინა ვიკმაიერმა წაგო. ბელგიელი ბრიტანელ უოთსონზე გავიდა და 5:7, 6:1, 6:4 დატოვა. კარგი ჩეხვა წავიდა.

III წრე. სამხრეთ აფრიკიდან ჩამოდის მისის შიპერსი და ჩვენმა გოგომ იმ გოგოს 4 გეიმი (6:4, 6:0) აჩუქა. მიუგდო. დაუტოვა. სერენამ ნელსონ მანდელას ფავორიტი ჩოგნით მაგრად დასერა.

ფინალი. რუმინეთი სორანა კირსტეამ გაგვაცნო და უილიამსმა თავაზიანად თავი დააქნია. მერე შეუბერა და 6:1, 6:2 დასვა. სერენამ სორანას ბევრი გასაკერი ადგილი დაუტოვა. Bloody Mess. კორონერებმა ბევრი გვამი შეაგროვეს. უილიამსის შემდეგ თითქმის სულ ასე ხდება.

ფინალში ამერიკული ოცნება იყო. ამერიკული ტურნირის სპონსორებმა იდეალური ფინალი მიიღეს. პირველი ფავორიტი, რომელიც ამერიკელია. მეორე მოთამაშე, რომელიც ამერიკელია. მეორე ამერიკელი კოკო ვანდეგეგე იყო. სერენამდე გააგდო იანინა ვიკმაიერი (ნახევარფინალში, 6:2, 3:6, 6:2). ფინალს იგებს ამერიკელი ფავორიტი და აუდიტორია საჩოგბურთო ორგაზმამდე მიდის. გეიმ, სეტ, მ?ტჩ სერენა უილიამს, 7:5, 6:3. სერენამ მოიგო. ტურნირის დროს უილიამსს სეტი არ წაუგია. ელეგანტური და სისხლიანი დომინაცია. როგორც ყოველთვის. უცვლელი ბისი.

ფინალამდე ყველაფერი მარტივი იყო. 6 სეტი, წაგებული ცოტა გეიმი და გემრიელი ჩოგბურთი. სერენა იგებდა და ვოქმენში ბობ დილანს უსმენდა. კარგი რელაქსატორი. ფინალში ცოტა ძნელი იყო. ვანდეგეგე კარგ ფორმაში, უკომპლექსოდ გავიდა კორტზე და აკრიფა. ორი ბრეიქი პირველ სეტში და კოკო სეტზე აწვდის. სერენას ფორჰენდიდან ბურთი ხაზის მსაჯს ხვდება და მსაჯი უკმაყოფილოა. სერენას ბექჰენდის შემდეგ ბურთი მაყურებელს ხვდება და მაყურებელიც უკმაყოფილოა. სერენა უნდა დამშვიდდეს ან პირველ სეტს ვანდეგეგე წაიღებს. სერენა დამშვიდდა და სეტი 7:5 აიღო. მანამდე იყო ვანდეგეგეს 5:4 და სეტ პოინტი. სერენამ ჰანდიკაპი დაფარა და მოსაგები მოიგო. სეტ პოინტზე ვანდეგეგემ ბურთი სუსტად გაუშვა, უილიამსმა დაალაზერა და ანგარიში გათანაბრდა. კარგმა გოგომ ტერმინატორი ვერ გააჩერა.

სერენა უილიამსი: «იმ გეიმის წაგება არ მინდოდა. სეტ პოინტზე არ გავიდა პირველი ჩაწოდება და ეს შანსი ავიღე. ალბათ, ყველაზე რთული გეიმი იყო. მქონდა რამდენიმე ბრეიქ პოინტი, დავუშვი ბევრი შეცდომა, გადავარჩინე სეტ პოინტი. ალბათ, უკეთ თამაში უკეთესი იქნებოდა, მაგრამ მოვიგე და დავისვენებ. კარგი ტურნირი, კარგი ფინალი, კარგი ვანდეგეგე იყო. კოკო სოლიდური, სერიოზული მოთამაშეა, რომელიც ბევრს მიაღწევს. თან, მალე.»

აპრილიდან სერენა კიბორგია. ბევრს იგებს, თითქმის არ აგებს და საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობს. სერენას ჩოგბურთიც საქველმოქმედო აქციაა. თამაშობს და უფასოდ გასწავლის უკეთ თამაშს. უილიამსმა აპრილიდან, 29 გარჩევიდან 28 მოიგო. ერთადერთი შეცდომა როლან გარროზეა, პირველ წრეში ვირჟინი რაძანოსთან. სერენამ სტენფორდში ორმოცდამესამე ტურნირი მოიგო. 43 ფინალი აქვს მოგებული ერთეულებში ვენუსსაც. ასევე ჟუსტინ ანენს, მარტინა ჰინგისს. კომპანია, რომელშიც სერენა საუკეთესო, გამორჩეული, ერთადერთია. მეათე შედეგი გოგონების პრო ტურის ისტორიაში. სერენა ლონდონის ოლიმპიადაზე მიკ ჯაგერად ჩადის. როლინგების ბიჭი დაჭკნა და სერენა საქმეს ისევ გემოვნებით აკეთებს. უილიამსი ლონდონში, უიმბლდონის კორტებზე პირველი ფავორიტი იქნება. ამერიკელების ამერიკული ფავორიტი.

ვანდეგეგე პირველად გავიდა WTA-ს ერთეულების ფინალში. მანამდე იყო მეოთხედფინალი, იყო პერსპექტივა და არ იყო ფინალი. კოკომ წაგო სტენფორდის კვალიფიკაცია (ტაილანდელ ლოპავან ლერტჩივაკარნთან 6:3, 4:6, 2:6). მერე ის ტაილანდელი ტრავმის გამო მოიხსნა ტურნირიდან და ორგანიზატორებმა ვანდეგეგეს დაუძახეს. შანსი მიღებულია. შანსი გამოყენებულია. ბრავო. ვანდეგეგე გახდა პირველი წაგებული კვალიფიკანტი მელინდა ჩინკის (2005, კანბერაში) შემდეგ, რომელიც ფინალში გავიდა. ერთადერთი წაგებული კვალიფიკანტი, რომელმაც ფინალის ვიზა მიიღო და ის ფინალი მოიგო, ანდრეა იაგერი იყო. ეს 32 წლის წინ ლას ვეგასში მოხდა. უილიამსმა ვანდეგეგეს ხუთი მარწყვი არ დაასმევინა. სერენა უკეთესი იყო. ბევრად.

სერენა ვანდეგეგეზე პირველად გავიდა. პირველად შეხვდა, გაიცნო და მოუგო. სერენა კლასიკაა.

წყვილების ფინალში ზელანდიელი მარინა ერაკოვიჩის და უოთსონის დუეტი შევიდა, მოითელა და პირველ ნომრად განთესილებს, იარმილა გაიდოშოვას და ვანია კინგს 7:5, 7:6 (7) შეუსრულა. ერაკოვიჩიმა წყვილებში მეექვსე ბონუსი დასვა და უოთსონმა - პირველი. უნდა აკრიფოს. ბრიტანელი ნიჭიერი გოგონაა და ერაკოვიჩი გონიერი პარტნიორია.

პალერმოში სარა ერანიმ ისტორიას ყური აუწია. ერანიმ იტალიური გრუნტის ფინალში 6:1, 6:3 შემოარტყა მერვედ განთესილს, ბარბორა ზაჰვალოვა სტრიჩოვას. სარა გახდა პირველი იტალიელი, რომელმაც ერთ სეზონში, ერთეულებში, ოთხი ტურნირი მოიგო. მანამდე სარამ აკაპულკოში, ბარსელონა?? და ბუდაპეშტში ყველა გადახერხა. იტალიური პილორამა მუშაობს.

პალერმოში ერანი ბოსი იყო. პირველ ოთხ გასაუბრებაში სარამ 16 გეიმი დათმო. მეტი ვერ გაიმეტა. სენიორა ერანიმ თავისი მეგობრის, წყვილებში უცვლელი პარტნიორის, რობერტა ვინჩის რეკორდი მოხსნა. ვინჩიმ შარშან სამი ფინალი აიღო (სენტ ჰერტოგენბოსხი, ბარსელონა და ბუდაპეშტი). სარა წელს არარეალურად აკეთებს საქმეს და დიდი შანსია, მეხუთე ფინალიც წამოიღოს. ერანიმ მოუმატა, ჩოგბურთის ლტოლვა დაიბრუნა.

სარას კარიერაში უკვე 6 ტურნირი აქვს მოგებული. პირველი დიდი პრიზი ოთხი წლის წინ, პორტოროჟში მიიყვანა ბოლომდე. პალერმოდან სარა ბაშტადში გადავიდა და, ალბათ, შვედურ დიალოგებშიც ერთ-ერთი ფავორიტი იქნება. იქ პალერმოზე სოლიდური ხალხი ითამაშებს.

ზაჰვალოვა სტრიჩოვა მესამედ გავიდა WTA-ს ფინალში. გოგონას ერთი ფინალი (შარშან, კვებეკში) მოგებული აქვს. ორი წლის წინ პრაღაში და პალერმოში ბოლომდე ვერ გაქაჩა. სტრიჩოვა პალერმოდან მაინც პატარა ბონუსით მიდის. წყვილებში გოგონამ რენატა ვორაჩოვასთან ერთად მოიგო ყველაფერი. პირველ ნომრად დასმულმა ჩეხებმა ბოლო ტესტში ხორვატი დარია იურაკის და უნგრელი კატარინ მაროშის ტანდემს 7:6 (5), 6:4 გადაუჯოკრეს. რთული და საინტერესო თამაში. ზაჰვალოვა სტრიჩოვამ კარიერაში წყვილების მეჩვიდმეტე ფინალი წამოიღო. ვორაჩოვა მერვედ გახდა პარტნიორთან ერთად საუკეთესო.

WTA-ს ახალი რეიტინგი

1(1). ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი)	**8 800**
2(2). აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი)	8 530
3(3). მარია შარაპოვა (რუსეთი)	8 370
4(4). სერენა უილიამსი (აშშ)	**7 830**
5(5). სამანტა სტოსური (ავსტრალია)	6 195
6(6). პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი)	5 275
7(7). ანგელიკ კერბერი (გერმანია)	5 170
8(8). კაროლინ ვოზნიაცკი (დანია)	4 091
9(9). სარა ერანი (იტალია)	**3 620**
10(10). მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი)	3 400
11(11). ნა ლი (ჩინეთი)	3 245
12(12). ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	3 190
13(13). ვერა ზვონარევა (რუსეთი)	3 160
14(15). დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი)	2 675
15(14). მარია კირილენკო (რუსეთი)	2 635
16(16). კაია კანეპი (ესტონეთი)	2 514
17(18). საბინე ლისიცკი (გერმანია)	2 297
18(19). ანდრეა პეტკოვიჩი (გერმანია)	2 260
19(20). ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	2 220
20(17). ფლავია პენეტა (იტალია)	2 205
69(120). კოკო ვანდეგეგე (აშშ)	**879**
73(76). ანა ტატიშვილი (საქართველო)	**848**
225(223). მაკა ჩახნაშვილი (საქართველო)	**264**
353(347). სოფია შაფა?ავა (საქართველო)	**121**
388(387). სოფია ქვაცაბაია (საქართველო)	**101**

ძიუდოისტები ლონდონში ბორჯომის ჰაერით გაჟღენთილები ჩავლენ

ვირველი გვერდიდან

ევროპის ჩემპიონ გუნდს ოლიმპიურ ტატამზე მეტოქე ნაკრებები მედლების ერთ-ერთ კანდიდატად თვლიან. წარმატების იმედი აქვს ავსტრიელ მწვრთნელსაც, თუ, რა თქმა უნდა, გუნდი ფსიქოლოგიურად განეწყობა.

პეტერ ზაიზენბახერმა ლონდონში წამსვლელთა ვინაობა 8 ივლისს გაახმოვანა. თავიდანვე გარკვეული იყო, რომ 66 კგ-ში ლონდონში ლაშა შავდათუაშვილი იასპარეზებდა, 73-ში - ნუგზარ ტატალაშვილი, 81-ში - ავთანდილ ჭრიკიშვილი, ხოლო 90-ში - ვარლამ ლიპარტელიანი. გასარკვევი იყო დარჩენილი სამი წონითი კატეგორია. კერძოდ, ნაკრების დამრიგებელს 60 კგ-ში ამირან პაპინაშვილსა და ბეთქილ შუკვანს შორის უნდა გაეკეთებინა არჩევანი, 100 კგ-ში - ირაკლი ცირეკიძესა და ლომერ ჟორჟოლიანს, ხოლო მძიმე წონაში - ადამ ოქრუაშვილსა და ზვიად ხანჯალიაშვილს შორის. საბოლოოდ შუკვანი, ჟორჟოლიანი და ოქრუაშვილი შეირჩა. დასკვნითი შეკრებისთვის ნაკრებმა ლიკანს მიაშურა. ლიკანის გზას ჩვენც გავუყევით და გუნდის ვარჯიშს დავესწარით.

ბოლოს ბასარიის დოკუმენტები

ჭრიკიშვილი მედლის მოპოვების ერთ-ერთი კანდიდატია

ოქრუაშვილი და შერინგტონი – ლონდონის ოლიმპიური თამაშების შესაძლო მეტოქეები

შუკვანი მომზადებით კმაყოფილია

ზაიზენბახერის თანაშემწე გიორგი ვაზაგაშვილი შავ სამუშაოს ასრულებდა

გუნდი ლიკანის ერთ-ერთი რუსული სკოლის ფიზმომზადების დარბაზში საგანგებოდ დაგებულ ტატამზე ვარჯიშობდა. პატარა დარბაზის ხილვამ გაგვაკვირვა. ვარჯიშის დასრულების შემდეგ ზაიზენბახერს სწორედ ამაზე ვკითხეთ. მან კი - რა პრობლემაა, კარგი პირობები გვაქვს, სისუფთავეა, ტიპური ძიუდოს დარბაზია, ჩვენს საქმეს ვაკეთებთ -მშვიდ გარემოში ვემზადებით, რაც სრულიად მაკმაყოფილებსო. მერე მზადების პროცესით და სხვა საკითხებითაც დავინტერესდით, რაც საბოლოოდ ინტერვიუდ ჩამოყალიბდა. საქართველოს ნაკრებთან ერთად ვარჯიშობდა ბრიტანელი კრის შერინგტონიც, რომელიც, შესაძლოა, ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ადამ ოქრუაშვილის მეტოქე აღმოჩნდეს. შერინგტონზე მხოლოდ ის შევიტყვეთ, რომ ბრიტანეთის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონი და ინგლისის ვიცე-ჩემპიონია. საერთაშორისო სარბიელზე მისთვის ყველაზე დიდი შედეგი აპიას მსოფლიო თასზე გამარჯვება და ევროპის თასის სამი ბრინჯაოს მედალია. შერინგტონი დიდი ბრიტანეთის სამეფოს საზღვაო ქვეითია.

აი, დაპირებული ინტერვიუც.

- ლონდონის ოლიმპიურ თამაშებამდე დღეები რჩება. როგორ მიდის სავარჯიშო პერიოდი?

- რამდენიმე შეკრება გავიარეთ იაპონიაში, კორეაში, მონღოლეთში, ესპანეთსა და ჩეხეთში. ზოგან რამდენჯერმეც ვიყავით. ვფიქრობ, სწორ გზას ვადგავართ. სწორი მიმართულებით მივდივართ. ფორმაში ვართ.

- როდესაც ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაგნიშნეს, პირველი, რაც მიზნად დაისახეთ, გუნდის ფიზიკური მომზადება იყო. მთავარი გამოცდის წინ მიზანი მიღწეულია?

- ვფიქრობ, ამ მხრივ მდგომარეობა გაუმჯობესდა. ყველაზე ვერ ვიტყვი და ყველა ვერც შეძლებს იყოს იდეალურად მომზადებული, მაგრამ ვინც საჭიროა, ფორმაშია. ამ მხრივ, ძირითადად, კარგი სურათი გვაქვს.

- მსოფლიო რეიტინგის ათეულში მყოფს საშუალება აქვს უკეთესი კენჭისყრა ჰქონდეს. მსოფლიო რეიტინგში ამირან პაპინაშვილი მეშვიდეა, ბეთქილ შუკვანი - მერვე. ოლიმპიურ რეიტინგში პაპინაშვილი ასევე მეშვიდეა, ხოლო შუკვანი - მეთექვსმეტე, მაგრამ არჩევანი შუკვანზე გაკეთდა...

- ამ შემთხვევაში ბევრი რამ გავითვალისწინეთ. სავარაუდო მეტოქეებთან ურთიერთშეხვედრათა ბალანსი, ვინ უკეთეს ფორმაში იყო და კიდევ ბევრი რამ. ყველაფრის გათვალისწინებით უკეთესი მაჩვენებელი შუკვანს აღმოაჩნდა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამ ეტაპზე ის უკეთ იყო მომზადებული. ვფიქრობ, მედლის მოპოვების მეტი შანსი მას აქვს.

- ვარჯიშზე ლომერ ჟორჟოლიანი არ ჩანს...

- საგანგაშო არაფერია. უბრალოდ, ყელი სტკივა და ზედმეტი დატვირთვისგან თავი შევიკავეთ.

- მას შემდეგ, რაც ირაკლი ცირეკიძემ ლონდონში წასვლაზე უარი თქვა და მიზეზად ფსიქოლოგიურად მოუმზადებლობა დაასახელა, როგორც სპარინგ-პარტნიორი, შეკრებაზე მაინც არ არის გამოძახებული...

- ეროვნულმა ფედერაციამ ჟორჟოლიანისთვის სამი სპარინგ-პარტნიორი აიყვანა, რაც სრულიად საკმარისია.

- ყველა ქვეყანამ გააკეთა ლონდონში წამსვლელთა განაცხადი. ასე რომ, გარკვეული წარმოდგენა უკვე გექნებათ სავარაუდო მეტოქეებზე... რას უნდა ველოდოთ ლონდონში?

- მედლების მოპოვების დიდი შანსი გამოცდილ ძიუდოისტებს ექნებათ. მართალია, საქართველოს ნაკრები ახალგაზრდული გუნდია, მაგრამ მედლებისთვის ბრძოლის შანსი ჩვენც გვაქვს. მთავარია ფსიქოლოგიური მზადყოფნა. ვისაც მყარი ნერვები აღმოაჩნდება, წარმატებისთვისაც ის იბრძოლებს.

- მიგაჩნიათ, რომ საუკეთესო ბირთვი შეკარით? ხომ არ იყო ისე, რომ, ვთქვათ, რომელიმე წონაში სხვა გინდოდათ, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო კონკრეტულ ძიუდოისტზე უარის თქმა მოგიხდათ?

- ძიუდოს ერვნულმა ფედერაციამ და ყველამ მოიწონა ეს გუნდი. ვფიქრობ, ამ მომენტისთვის საუკეთესო შემადგენლობა შევკრიბეთ.

***

პეტერ ზაიზენბახერთან ინტერვიუმდე ბეთქილ შუკვანსაც გავესაუბრეთ. ოლიმპიურ ტატამზე პირველს სწორედ მას მოუწევს გასვლა. ავსტრიელი მწვრთნელი მისგან მედალს ელოდება. როგორც უკვე ვთქვით, ნაკრების მწვრთნელმა შუკვანი ამირან პაპინაშვილს ამჯობინა და საოლიმპიადო განაცხადში შეიყვანა. მიზეზი გასაგებია - შუკვანს დადებითი ბალანსი აქვს ყველა იმ ძიუდოისტთან, რომელიც რეიტინგში მოწინავე პოზიციაზეა. ერთადერთი უხერხული მეტოქე შუკვანისთვის სომეხი ოვანეს დავთიანია, რომელთანაც ბეთქილს უარყოფითი ბალანსი აქვს (1-3), მაგრამ სომეხი ძიუდოისტი გრანდების რიცხვს არ განეკუთვნება. ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ, განსაკუთრებით დასკვნით ეტაპებზე, ის შუკვანს შეხვდეს.

- საოცარია, მაგრამ დავთიანს ვერ მივუდექი. მასთან სამი ბრძოლა მაქვს წაგებული. მხოლოდ წელს მოვუგე ფინალში გადასასვლელი შეხვედრა. დანარჩენებთან დადებითი ბალანსი მაქვს და ფსიქოლოგიურადაც კარგად განვეწყობი ხოლმე მათთან შესახვედრად. ჩემთვის უმჯობესი იქნება, თუ მეორე ან მესამე წრიდან რომელიმე ძლიერი სპორტსმენი შემხვდება - სამხრეთკორეელი, ფრანგი ან რუსი. მათთან, ყველასთან, მოგებული მაქვს.

- არ გირჩევნია, რეიტინგის პირველი ნომრები რაც შეიძლება გვიან შეგხვდნენ?

- კი, მაგრამ თუ მეორე წრიდან ძლიერ მოწინააღმდეგეს გამოთიშავ, მომდევნო ეტაპზე უფრო თავდაჯერებული და მაქსიმალურად კონცენტრირებული იქნები. თორემ ხდება ხოლმე, სუსტი მეტოქეები გხვდებიან და როგორც კი ძლიერს გადაეყრები, მასთან შესახვედრად მზად აღარ ხარ.

- ბორჯომამდე რამდენიმე შეკრება გაიარეთ. შეგიძლია თქვა, რომ საუკეთესო ფორმაში ხარ?

- ეს შეკრებები სწორედ ამიტომ ჩავატარეთ, რომ ოლიმპიადისთვის ფორმის პიკში ვყოფილიყავით. ბოლო შეკრება ბარსელონაში გვქონდა. ორჯერად ვარჯიშებს გავდიოდით. ახლა უკვე ვარჯიშების რიტმი შევამსუბუქეთ და ერთჯერადად ვვარჯიშობთ, რომ ორგანიზმი მაქსიმალურად მომზადებული იყოს. რაც შემეხება პირადად მე, ვგრძნობ, რომ სისწრაფე მომემატა. ერთი სიტყვით, კარგად ვარ. ვფიქრობ, ოლიმპიურ ტატამზე ფორმის პიკზე გავალ.

- ბორჯომის მოსამზადებელ პირობებზე რას იტყვი? სკოლის დარბაზში ვარჯიშობთ. ეს დისკომფორტს არ გიქმნით?

- რასაკვირველია, საკუთარი ბაზა რომ გვქონდეს, ან აქ სავენტილაციო სისტემა უკეთესი იყოს, აჯობებდა, მაგრამ ბორჯომში 10 ივლისიდან ვართ. დანარჩენი შეკრებები გავიარეთ უცხოეთში, სადაც საუკეთესო პირობები გვქონდა. ამიტომ ვფიქრობ, დისკომფორტს უფრო ის ბიჭები განიცდიან, ვინც იწყებს ძიუდოში ვარჯიშს.

- სასტუმრო, კვება როგორია?

- კვება უმაღლეს დონეზეა, სასტუმრო - ნორმალური, ჰაერი - მშვენიერი. ასე რომ, დასკვნითი შეკრება თავის შედეგს გამოიღებს. ლონდონში წარმატების იმედი უნდა გვქონდეს.